

ბარტეჟ კლევამოსილი

მოთხრობა

ჰენრიკ სენკევიჩისა

გადმოღებული

ივ. თ. და ან. ღორთქიფანიძის ქალების მიერ.

თფილისი

სტამბა არ. ქუთათელაძისა, ნიკ. ქ., № 21.

1903

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4-го Февраля
1903 г.

ჰ ე ნ რ ი კ ს ე ნ კ ე ვ ი ჩ ი

ავტორი „ბარტეკ ძლევაძისილისა“, ჰენრიკ სენკევიჩი არის პოლონეთის გამოჩენილი მწერალი. იგი დაიბადა 1846 წელს და უმაღლესი სწავლა მიიღო ვარშაის უნივერსიტეტში. სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო 1876 წ., როდესაც ამერიკაში მოგზაურობდა და იქიდან გამოგზანის წერილებით და მოთხრობებით მიიქცია საზოგადოების ყურადღება. მეოთხმოცე წლებში გამოვიდა მისი ისტორიული რომანები, რომელთაც მოუპოვეს ავტორს წარჩინებული ადგილი მთელს ქვეყანაზედ. განსაკუთრებით სახელი გაითქვა სენკევიჩმა თავის რომანით „ულოგმატო“. ამის შემდეგ მისი ნიჭი უფრო და უფრო გაძლიერდა და გაფართოვდა. ღღეს სენკევიჩი ერთი ყველაზე უფრო საინტერესო და საყვარელი მწერალთაგანია მსოფლიო ლიტერატურაში; მისი ნაწერები ითარგმნება უცხო ენებზე, ყოველი მისი რომანი საერთო ყურადღებას იწვევს, იბეჭდება წერილები მის შესახებ, მისის რომანების შინაარსით სარგებლობენ სცენისათვის.

სენკევიჩის ნაწერები შეიძლება ორს უმთავრესს ნაწილად გავყოთ: ისტორიული რომანები და მოთხრობები ერთის მხრით, და თანამედროვე ცხოვრების შინაარსის რომანები და მოთხრობები მეორე მხრით. ისტორიული ნაწარმოები ზოგი პოლონეთის ისტორიიდანაა, ზოგი კი შეეხება ქრისტიანობის პირვანდელს დროს. პოლონეთის ისტორიიდან აღებულს რომანებს არსებითათ პატრიოტული ხასიათი აქვთ. ასეთებია: „ცეცხლითა და მახვილითა“ (გადმოღებულია ქართულად), „წარღვნა“, „პან ვოლოდიევსკი“ და „ჯვაროსნები“. პირვე-

ლი სამი შინაარსით ერთმანერთთანაა დაკავშირებული და სამ-
 შივე ერთი და იგივე პირებია გამოყვანილი. განსაკუთრე-
 ბით დიდად მოეწონა საზოგადოებას „სეცხლითა და მახვი-
 ლითა“. რომანი მეტათ საინტერესოთაა დაწერილი და ის-
 ტორიული ცნობები მართალის წყაროებიდანაა ამოღებული;
 მხოლოდ ავტორი მეტს ყურადღებას აქცევს პოლონელებს,
 პოლონელები უფრო ნათლათ და სავსებით არიან დახატულ-
 ნი ვიდრე უკრაინელები—კაზაკები (რომანის შინაარსი პო-
 ლონელების და კაზაკების ბრძოლა), მასთანვე ავტორს არა
 აქვს განმარტებული მაშინდელი სოციალი (საზოგადოებ-
 რივი) ცხოვრება. „წარღვნა“ გაცილებით მალლა დგას რო-
 გორც თავის მხატვრულის ღირსებით, ისე ისტორიულთ მოვ-
 ლენათა გაგებით; საუცხოვოთ არის აწერილი პოლონელების
 ბრძოლა შვედლებთან. „პან ვოლოდივესკი“ უფრო სუსტი
 ნაწარმოებია, თუმცა შიგ აქა-იქ მოიპოვება ბუნების შესა-
 ნიშნავი სურათები. „ჯვაროსნები“ გვიხატავს პოლონელების
 ბრძოლას გერმანელებთან (ტევტონის ორდენთან). ესეც წი-
 ნანდელი რომანებივით მეტათ საინტერესოა და მაღალის ნი-
 კით არის დაწერილი.

ამ პატრიოტულს რომანებზე უფრო მალლა დგას პირ-
 ვანდელის ქრისტიანობის დროის რომანები და მოთხრობებღ
 სენკევიჩის კარგათ აქვს შესწავლილი ძველის რომის კულტუ-
 რა და ადრევე აინტერესებდა მას ქრისტეს მოძღვრების გა-
 მარჯვების პროცესი. მშვენიერათ ახასიათებს ამ პროცესს
 მისი პატარა მოთხრობა „გაყვეთ მას“. მსოფლიო სახელი
 და დიდება მოუხვეჭა სენკევიჩის რომანმა „Quo vadis“? რო-
 მელშიაც აწერილი აქვს კერპ-თაყვანისმცემლობის სულთა-
 ბრძოლა და ქრისტიანობის დასაწყისი. ძველი ცხოვრება შე-
 სანიშნავის სისრულით არის დასურათებული, რომანში ბევ-
 რი ძლიერი ტრაგიკული ადგილია.

III

თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნები და რომანები სენკევიჩისა სხვა და სხვა შინაარსისაა. მის პირველს მოთხოვნებს ემჩნევა გულითადობა და მწარე ნაღველი. ავტორი დიდს ყურადღებას აქცევს სუსტს ადამიანებს, ლატაკებს, ბედისაგან დაჩაგრულებს, დამონებულებს (იანქო მემუსიკე, ბარტეკ ქლევა-მოსილი, მასწავლებლის წერილები და სხ.). მწუხარე, თითქმის პესიმისტური (სასოწარკვეთილების) გრძნობაა გატარებული რომანში „უდოგმატა“. რომანის გმირი პლოშოვესკი მსოფლიო ტიპია; იგი ნაყოფია დღევანდელის ბურჟუაზიის ცხოვრებისა, მასში მკვდარია ყოველი იმედი და სასოება, არაფრის გაკეთების სურვილი აღარა აქვს, არ მოეპოვება ნება. „უდოგმატოს“ თან მოჰყვა სენკევიჩის მეორე რომანი თანამედროვე ცხოვრებიდან — „პოლანეცკების ოჯახი“, რომელიც გვიხატავს პოლონეთის ბურჟუაზიას, ინტელიგენციას, ენერჯიანს და სიცოცხლით სავსე ადამიანებს და გამსჭვალულია გადამეტებულის იმედებით.

სენკევიჩი ჯერ კიდევ ხნიერი კაცი არ არის და მისი კალამი უეტველია არა ერთს ნაწარმოებს მიაწვდის კელავ მკითხველს საზოგადოებას.

ამ წიგნში დაბეჭდილს მოთხოვნაში სენკევიჩი აგვიწერს ერთს სამწუხარო ამბავს გერმანიის პოლონელების ცხოვრებიდან. წინათ პოლონელებს საკუთარი დიდი და ძლიერი სამეფო ჰქონდათ. მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის დამლევს დაჰკარგეს თავისუფლება და ეხლა უწინდელის პოლონეთის სამეფო დანაწილებულია რუსეთსა, გერმანიასა და ავსტრიას შორის. პოლონელები ძლიერ ნიჭიერი და განათლებული ხალხია. მათი რიგები დღეს 14 მილიონამდეა; აქედან სამი

IV

მილიონი ცხოვრობს გერმანიაში (პრუსიაში), სამ მილიონამდე ავსტრიაში და დანარჩენი რუსეთში.

პრუსიაში ძლიერ შევიწროვებულნი არიან პოლონელები. მთავრობა ყოველგვარს ღონისძიებას ხმარობს იქ, რომ პოლონელები გააგერმანელოს; ხაზინა რამდენსამე მილიონს ხარჯავს წლიურათ, რომ შეისყიდოს პოლონელთა მამული და დაასახლოს ზედ გერმანელები. პოლონელს ბავშვებს აიძულებენ დაივიწყონ დედა-ენა. მოსყიდვით, ქრთამით, მუჭარით, დევნით — ყველაფრით ცდილობენ გაჭირვებაში ჩააგდონ პოლონელი გლეხები და ამით აიძულონ უარპყონ თავისი ენა და ეროვნება და გაგერმანელდნენ.

მაგრამ დღემდის თითქმის სრულიათ უნაყოფოთ დარჩა პრუსიის მთავრობის ცდა. წინათ თუ ცოტა გულგრილათ უყურებდნენ პოლონელები პრუსიელების ძალმომრეობას, დღეს ყოველს პოლონელს კარგათ შეგნებული აქვს თავისი მდგომარეობა, მედგარს წინააღმდეგობას უწევს პრუსიელს და არ აჩაგვრინებს თავს.

ბარტემ ქლევამოსილი.

ნამდვილი სახელი ზე გვარი ჩემის გმირისა იყო ბარტემ სლოვიკი*), ხოლო, რადგან იმას ჩვეულებად ჰქონდა თვალების გამოქყეტა, როდესაც ელაპარაკებოდნენ, ამიტომ მეზობლები ეძახდნენ ბარტემ თვალ-ქყეტას. ბულბულთან, მართლაც, არავითარი მსგავსება ჰქონდა და ეს მეორე სახელი უფრო შეეფერებოდა, მაგრამ მისმა სუსტმა გონებითმა ნიჭიერებამ და სწორედ საარაკო სიბრიყვემ შესძინა მესამე სახელიც: ბარტემ-ბრიყვი. ქვეყანა ბარტემს უფრო ამ სახელით იცნობდა და, მგონია, ისტორიაშიაც მხოლოდ ეს სახელი იქნება შეტანილი, თუმცა ბარტემს ამას გარდა კიდევ ჰქონდა სხვა მეოთხე ოფიციალი გვარი. რადგან სიტყვებს: szlowski (კაცი) და slowik (ბულბული) გერმანელების ყურში არავითარი განსხვავება არა აქვთ, ხოლო გერმანელებს უყვართ, ცივილიზაციის სახელით, ბარბაროსულის სლავიანურის სახელების თავიანთ შემეშავებულს ენაზედ გადათარგმნა, ამიტომ სამხედრო სიების შედგენის დროს მოხდა შემდეგი ბაასი:

*) სლოვიკი ნიშნავს ბულბულს.

— რა გქვიან შენ? ჰკითხა აფიცერმა ბარტექს.

— სლოვიკ.

— შლოვიკ? Ach ja! gut! (ხო! კარგი, კარგი!)
და აფიცერმა ჩასწერა: Mensch (კაცი).

ბარტექი იყო გლეხი, იარმოს სოფლიდგან. ამ სახელ-წოდების მექონე სოფლები, როგორც ვიცით, ძალიან ბევრია დიდის პონზანის სამთავროში და ადრინდელის რეჩ-პოსპოლიტის*) სხვა ადგილებშიაც. გარდა ნადელად მიცემულის მიწისა და ორის ძროხისა, ჩვენს ბარტექს ჰყავდა კიდევ ერთი თეთრი ფაშატი ცხენი და ცოლი—მაგდა. ამგვართ გარემოებათა წყალობით, მას შეეძლო, როგორც იქნებოდა, ეცხოვრა მშვიდობიანად, მყუდროდ და მართლაც, მხოლოდ მაშინ აშფოთდა ბარტექი ძლიერ, როდესაც ღმერთმა ომი მოაგვლინა. ბრძანება მიღებული იყო; ყველანი უსათუოდ უნდა გამოცხადებულიყვნენ შესაკრებელს ადგილზედ. ბარტექს ახლა უნდა მიეგდო ქოხი, ნადელი და დაეტოვებინა ყოველისფერი დედაკაცის მზრუნველობის ქვეშ. სოფელს იარმოში ხალხი საკმაოდ ღარიბი იყო. ზამთრობით ბარტექი დადიოდა ქარხანაში სამუშაოდ და ამ გვარად, როგორც იყო, არჩენდა თავის ღარიბს ოჯახს. ახლა კი რა უნდა ექნა? ღმერთმა იცის, ფრანგებ-

*) რეჩ-პოსპოლიტა ნიშნავს რესპუბლიკას. ასე იწოდებოდა პოლონეთის სახელმწიფო.

თან როდის გათავდება ომი განცხადება მოვიდა თუ არა, მაგდა მაშინვე ლანძღვა-გინებას მოჰყვა: „აი, ღმერთმა კი ამოსწყვიტოს ის წყეულები ისინიმც კი დაბრმავებულან!.. მართალია, შენ, ჩემო ბარტეჟი, ცოტა ბრიყვი კი ხარ, მაგრამ მაინც მეცოდები. ფრანგები შენ სულაც არ დაგინდობენ: თავს მოგპრიან, მაშ რა კეთილს დაგაყრიან“!.. ბარტეჟი გრძნობდა, რომ დედაკაცი მართალს ეუბნებოდა; თვითონაც ისე ეშინოდა ფრანგებისა, როგორც ცეცხლისა. ამასთანავე ჯავრიც მოსდიოდა: რა დაუშავებიათ მისთვის ფრანგებს? რისთვის უნდა წავიდეს იგი უცხო ქვეყანაში, სადაც მას ერთი თავისიანი კაციც არ ეგულება? მართალია, როდესაც იარმოში ხარ, ვერაფერს სახარბიელო მდგომარეობაში გრძნობ შენს თავს, მაგრამ სხვაგან წასვლას რომ გიბრძანებენ, აი მაშინ იგრძნობ, რომ, რაც უნდა იყოს, მაინც სახლში ყოფნა სჯობნებია. მაგრამ რას იზამ? სჩანს ბედ-იღბალი ასეთი გქონია, უნდა წახვიდე. ბარტეჟი გადაეხვია თავის მეუღლეს, გადაკოცნა ათის წლის ვაჟიშვილი, ფრანკი, ერთი გადააფურთხა გვერდზედ, პირ-ჯვარი გარდაიწერა და გავიდა ქოხიდან. მაგდაც გაჰყვა თან. მათი გამოთხოვება ვერაფერი ტკბილი და აღერსიანი იყო. მაგდა და პატარა ბავშვი გულ-ამომჯდარნი ქვითინებდნენ, ბარტეჟი კი სულ ამას იმეორებდა: „ჰო, კარგია ახლა, დაწყნარდით!“ ასე, ამგვარად

გამოვიდნენ იგინი დიდს სასოფლო შარაზედ. აი მხოლოდ აქ შეამჩნიეს, რომ მთელს იარმოში აგრეთვე ამბავი იყო. მთელი სოფელი ფეხზედ დგას, საითკენაც არ გაიხედავ, ყველგან ლაშქრად გამოწვეულები ჩანან. მიდიან იგინი რკინის გზის სადგურზედ, და დედაკაცები, ბავშვები, მოხუცებულები და ძაღლები აცილებენ მათ. გამოწვეულებს გული მძიმედ აქვთ; მხოლოდ ზოგიერთი ბიჭები თუ სწევენ ჩიბუხს; რამდენიმე მთვრალიც ურევია. ერთი კოლონისტი (გერმანელი) შიშისაგან მღერის: „Wacht am Rhein“! *) მთელი ეს აქრელებული ხალხი, რომელშიაც ხან აქ, ხან იქ გაიფლავებს ხოლმე ხიშტი, მიემართება დიდის ხმაურობით, ყვირილით და ჩოჩქოლით. დედაკაცებს ჩაუვლიათ ხელი თავიანთ სალდათებისათვის და ტირიან. აგერ ერთი მოხუცი დედაკაცი გაჯავრებული იქნევს მუშტს ჰაერში; აგერ მეორე წამოიძახებს: „ღმერთმა კი დაგსაჯოთ ჩვენის უბედურობისათვის!“ ისმის ძახილი: „ფრანოკ! კასკა! იუზიოკ! ღმერთმა მშვიდობითა და უვნებლად გამოყოფოსთ“. ძაღლები ჰყეფენ. ეკკლესიებზედ რეკენ ზარებს. თვითონ მოძღვარი კითხულობს გამოსალმების ქალაღდს. ახლა რომ მიდიან, იმათგანი ხომ ბევრი ვეღარ დაბრუნდება შინ. ომს ყველა მიჰყავს, მაგრამ ბევრს აღარ გვიბრუნებს უკან. გუთნები და-

*) გერმანელების სახალხო სიმღერა არის.

ქანგლებიან ყანებში, მიტომ რომ იარმომ საფრანგეთს ომი გამოუცხადა. იარმომ არ იყაბულა ნაპოლეონ მესამის საქციელი და მისი გულმხურვალე მონაწილეობა ისპანიის ტახტის მემკვიდრეობის საქმეში. ზარების რეკა აცილებს ხალხს, რომელიც კიდევაც გამოვიდა სოფლიდგან. აი ღვთის-მშობლის ძეგლიც. ყველანი შიშითა და კრძალვით იხდიან ქულებს. გზაზედ დიდი მტვერი დგება, რადგან კარგი და მშრალი ტაროსია. გზის ორსავე ნაპირს ხორბლის მარცვლებით სავსე თავლებს შრიალი გააქვთ. ლაყვარდს ცაზედ, ერთს ადგილს ფრთხილებენ ტაროლები და რაც ძალი და ღონე აქვთ გალობენ,

აი სტანციაც. ხალხი თან-და-თან მატულობს. მოდიან გამოწვეულები დიდ-კრივდიდგან და პატარა-კრივდიდგან, ნედლოდიდგან და ნესჩასტნოდიდგან. ერთი უშველებელი ხმაურობა, ჩოჩქოლი და არეულობა არის. სტანციაზედ კედლები მთლად დაფარული არიან გაკრულის მანიფესტებით, გამოცხადებულია ომი: „ღვთისა და მამულის სახელით“. ლაშქარი მიდის, რომ დაიცვას თავის სახლ-კარი, ყანები და ცოლშვილი. ფრანგები გამძვინვარებულნი არიან განსაკუთრებით იარმოს, დიდისა და პატარა-კრივდის, ნედლოის და ნესჩასტნოის მცხოვრებლებზე. მანიფესტების მკითხველებს კი მაინც ასე ჰგონიათ და! ხალხის ტევა არ არის სტანციაზედ. თუ-თუნის კომლი ავსებს ოთახს მთლად და ჰფარავს.

შანიფესტებს. ისეთი ძლიერი ხმაურობაა, რომ გაგონება არაფრის შეიძლება: ყველანი დადიან, უძახიან ერთმანერთს, ყვირიან. პლატფორმაზედ ხანდისხან მოისმის ენერგიულად, მკაფიოდ და მოკლედ გამოთქმული გერმანელების ბრძანება.

გაისმა ზარის რაწკუნნი. შემდეგ ხან-გრძლივი სტვენა. შორიდგან მოისმის ორთქლმავალის მკაცრი კივილი. ხმაურობა თან-და-თან მატულობს. გგონიათ, თითქო ომი მოახლოვდაო. რეკენ მეორედ. ყველანი აშფოთდებიან. რომელიღაც სალდათი ყვირის: „ევა!“ ეტყობა, რომ თავის ცოლს უძახის; მაგრამ ამ დროს სხვა დედა-კაცები წამოიძახებენ: „მოდიანი!“ ვიღაცა მყვირალას ხმა უმატებს: „ფრანგები მოდიანი!“ და ერთს წუთში, არა თუ ქალები, სედანის მომავალი გმირებიც კი აიტანა შიშის ზარმა. ხალხი აღელდა. ამასობაში მატარებელიც ჩერდება პლატფორმასთან. ვაგონები გაქედლილია სალდათებით; რომელთაც ხურავთ წითელ-არშიებიანი ქუდები და აცვიათ ასეთივე მუნდირები. ფრიალო ვაგონებზედ აწყვია შავ-შავი მოგრძო ზარბაზნები და ელავენ შუბები. ეტყობა, სალდათებს ნაბრძანები აქვსთ იმდერონ: მატარებელი თრთის სალდათების მამაცურის ხმისაგან და ამაყობს თავის თავის იმედით და შეძლებით.

პლატფორმაზედ რეკრუტები ეწყობიან; ზოგნი კიდევ ემშვიდობებიან თავისიანებს. ბარტეჟმა გაიქ-

ნია ხელები ქარის წისქვილის ფრთებივით და გამოაქყიტა თვალები.

— აბა, მაგდა, მშვიდობით!

— ოჰ, საცოდავო ჩემო საყვარელო!

— აწი ველარ მნახავ!

— აწი ველარ გნახავ!

— რა უნდა ქნას კაცმა.

— ღვთის-მშობელი იყოს შენი მფარველი, ჩემო ბარტეჟი!

— მაგდა, იყავ მშვიდობით, ყური უგდე ოჯახს.

დედა-კაცი ტირილითა და ქვითინით მოეხვია ბარტეჟს ყელზედ.

— ღმერთი იქნეს შენი შემწე, ბარტეჟი!

დგება უკანასკნელი წუთი, ყოველისფერს აყრუებს დედა-კაცების წივილ-ტირილი და ქვითინი. „მშვიდობით, მშვიდობით!“ გაიძახიან აქა-იქ, მაგრამ აი სალდათები კიდევაც მოაშორეს სხვა ხალხს, ისინი შეაგროვეს ერთს ჯგუფად და დააწყებინეს მოძრაობა მაშინასავით.

— ჩასხედით, ჩასხედით! დაიყვირა უფროსმა. ჯგუფი იშლება, სალდათები მიემართებიან ვაგონებისაკენ და შედიან შიგ. უშტვენს ორთქლ-მავალი და უშვებს შავს კომლს. აი დაიწყო მან ვეშაპსავით ქშინვა და გამოუშვა ორთქლი გვერდებიდან. დედა-კაცების ყვირილი და ტირილი იქაურობას აყრუ-

ებს. ზოგი მათგანი ფეშტამლით ითარავს თვალებს, ზოგი ხელს აწვდის ვაგონებისაკენ.

— მშვიდობით, ბარტეკი! — უყვირის ქვევიდგან მაგდა. — ნუ წაეჩრები იქ, სადაც შენი საქმე არ იყვეს! ღვთის-მშობელმა დედამ დაგიფაროს უბედურობისაგან... მშვიდობით, მშვიდობით! ოხ, ღმერთო ჩემო!

— ყური უგდე ოჯახს! უპასუხებს ბარტეკი.

ორთქლმავალი დაიძრა, ვაგონები დაეტაკნენ ერთმანერთს და მატარებელმა გასწია.

— გახსოვდეს, ბარტეკი, რომ შენ გყავს ცოლ-შვილი, მიჰყვირის მაგდა და თან მისდევს ვაგონებს. იყავ მშვიდობით! სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა! მშვიდობით! მატარებელი მიდის თან-და-თან უფრო ჩქარა და თან მიჰყავს მეომარი იარაღელები, კრივდელები, ნედლოიელები და ნესჩასტნოელები.

II.

ტირილითა და ქვითინით დაბრუნდა მაგდა სხვა ქალებთან ერთად იარაღით. ამ დროს პირდა-პირ მეორე მხარეს მიჰქროდა მატარებელი, რომელსაც მიჰყავდა ბარტეკი. იარაღი ძლივს თუ გაიჩეოდა, მხოლოდ ცაცხვი-ღა მოსჩანდა და ბრწყინავდა ეკლესიის ჯვარი, რომელიც იყო განათებული

ჩამავალის მზის სხივებით. მაგრამ მალე ის ცაცხვიც უჩინარი ხდება და ოქროს ჯვარი კი ემსგავსება ბრწყინვალე წერტილს. სანამ ეს წერტილი კიდევ მოსჩანს, ბარტეკი უცქერის მას; მაგრამ ეს წერტილიც რომ გაქრა, ბარტეკი შეიპყრო საშინელმა მწუხარებამ. იგი თითქო დაუძლურდა კიდევ და გრძნობს, რომ დაიღუპა. იგი შესცქერის უნტერ-აფიცერს, კარგად გრძნობს, რომ ღმერთის შემდეგ ის არის მისი ბატონი და რაც უნდა, იმას უზამს. იმას რა დაემართება, ეს იცის უნტერ-აფიცერმა; თვითონ ბარტეკმა კი არაფერი არ იცის და არცა რა ესმის რა. უნტერ-აფიცერი ზის სკამზედ, ფეხებში უკავია თოფი და სწევს ჩიბუხს, კომლი სქლად ფარავს მისს დინჯსა და უკმაყოფილო სახეს; მარტო ბარტეკი კი არ შესცქერის ამ სახეს, შესცქერიან მას ყველა სალდათები. იარმოში, გინდა კრივდაში ყოველი ბარტეკი და ვოიტეკი თავ-თავის ბატონია, ყველა თავის თავზედ უნდა ფიქრობდეს და აქ კი მარტო უნტერ-აფიცერი ფიქრობს ყველასათვის. უნტერ-აფიცერი უბრძანებს მათ მარჯვნივ მიხედვას, ისინიც მიიხედავენ მარჯვნივ; უბრძანებს მარცხნივ გახედვას, მარცხნივ გაიხედავენ. ყველა მას ეკითხება თვალებით: „რა დაგვემართება ჩვენო?“ მაგრამ თვითონ უნტერ-აფიცერმაც იმოღენი იცის, რამოდენიც სალდათებმა იციან და ძალიან მოხარული იქმნებოდა, რომ მთავრობას აეხსნა მისთვის ეს მტანჯველი კით-

ხვა. გლეხებს მაინც ძალიან ეშინიანთ ჰკითხონ რამე უნტერ-აფიცერს, მიტომ რომ ახლა ომიანობაა და, მაშასადამე, სიმკაცრეც. რა არის აკრძალული და რა არა, არავინ იცის და განსაკუთრებით არა იციან რა ამისი გლეხებმა: მათ აშინებს სიტყვა: „Kriegsgericht“ (სამხედრო სამსაჯულო), რომელიც მათ სრულიად არ ესმით.

ამასთან ისინი იმასაც გრძნობენ, რომ ეგ უნტერ-აფიცერი მათთვის ახლა უფრო საჭიროა, ვიდრე პოზნანში მანევრების დროს, მიტომ რომ ახლა იგი ყველას მაგიერ ფიქრობს და უმისოდ ფეხსაც ვერავინ გადაადგამს. უნტერ-აფიცერს მობეზრდა თოფის დაკავება და გადასცა ბარტექს. ბარტექი თოფს ჩამოართმევს და ხმა-გაკმედილი და სულ-განაბული აბრიალებს თვალებს.

ოოხ, საქმე ცუდად არის! უნტერ-აფიცერიც თეიტქმის თავის თავს არ ეკუთნის. სტანციებზედ მოისმის ხოლმე სიმღერა და ყვირილი; მაშინ უნტერ-აფიცერიც ბრძანებლობს და თან ილანძღება, რომ მთავრობას ასიამოვნოს; მაგრამ მატარებელი დაინძრევა თუ არა, მაშინვე მყუდროებაც ჩამოვარდება ხოლმე.

ამასობაში მატარებელი კვნესის, ფშვინავს და მიჰქრის შორს. ყოველს სტანციაზედ უმატებენ ახალ-ახალს ვაგონებს და ორთქლ-მავალებს. ყოველგან მოსჩანან მხოლოდ კასკები, ზარბაზნები, ცხენები, შუ-

ბები, ქვეითის ჯარისა და ულანების ნიშნები. დადგა წყნარი და მოწმენდილი სალამო. დასავლეთის მხარეს ცა გაწითლდა; მალლა ცის კამარაზედ წყნარად მიმოიძვრიან მსუბუქი ღრუბლები, რომელთაც ვარდის-ფერი არშია შემოვლებიათ. მატარებელი აღარ იღებს ახალ-ახალს სალდათებს სტანციებზედ და დიდის სისწრაფით მიფრინავს იქითკენ, სადაც ცა წითლად შეღებილა, თითქო სისხლის ზღვაში შეცურვა უნდოდესო. გაღებულს ფანჯარაში, სადაც ბარტეკი ზის სხვა პოლონელს სალდათებთან, მოჩანან სოფლები, ეკლესიის კოშკები, კაკვის მსგავსად მოკაკული ყანჩები, რომელთაც ერთი ფეხი ბუდეში უდგიათ, განცალკევებული ქოხები, აღუბლის ბაღები და ყველა ეს უცებ შორდება თვალს. სალდათები მართავენ ერთმანეთში ჩურჩულს, რადგან უნტერ-აფიცერმა ამოიღვა თავ-ქვეშ ტომარა და დაიძინა, თიხის ჩიბუხით ჰირში. ვოიტეკ გვიზდაზა, ბარტეკის სოფლის კაცი, რომელიც იქვე გვერდით ზის, წაჰკრავს მას იდაყვს.

— ბარტეკ, ყური დამიგდე!

ბარტეკი მოიბრუნებს მისკენ პირს თვალებ-გამოჰყეტილი.

— რა სასაკლაფოზედ წაყვანილი ხბოსავით იყურები, წაჩურჩულებს მას ვოიტეკი. ჰო, რაც მართალია, მართალია! საწყალო, შენ მართლა დასაკლავად მიჰყავხართ და უსათუოდ...

— ოჰ, ოჰ! კენესის ბარტეჟი.

— გეშინია?

— როგორ არ უნდა მეშინოდეს...

ცის-კიდე დასავლეთისაკენ უფრო და უფრო იღებება წითლად. ვოიტეჟი აშვერს თითს გაწითლებულის ცისაკენ.

— აი, ხომ ხედავ იქ იმ სიწითლეს? იცი, შე სულელო, ის რა არის? ეს სისხლია. აქ პოლონეთია, მაგალითად ვთქვათ, ჩვენი ქვეყანა, გესმის? და აი იქ, შორს, სადაც ცის-კიდე გაწითლებულა, იქ არის საფრანგეთი...

— მალე მივალთ?

— რა გვეჩქარება? ამბობენ, შორს არისო, მაგრამ ნუ გეშინია: ფრანგები თვითონ გამოგვეგებებინან.

— ვოიტეჟი!

— რაო, რა გინდა?

— როგორი ხალხია ეს ფრანგები?

აქ კი გამოვლია ვოიტეჟს სიბრძნე, იმან მხოლოდ ის იცოდა, რომ ფრანგები არიან ფრანგები. გაუგონია მოხუცებულებისაგან, რომ ფრანგები ომში ყველა ხალხს სჯობიან, იცოდა, რომ ფრანგები სულ სხვა ხალხია, მაგრამ ეს როგორ უნდა აეხსნა ბარტეჟისათვის? ამიტომ იმან თავ-და-პირველად გაიმეორა ბარტეჟის კითხვა:

— რა ხალხია?

— ჰო!

ვოიტეჟი იცნობდა სამს ხალხს: შუაში პოლონელებს, ერთის მხრით მოსკალებს (რუსებს) და მეორე მხრით გერმანელებს. მაგრამ გერმანელებიც ხომ სხვა და სხვა ტომისანი არიან. ამიტომ უთხრა:

— რა ხალხია ფრანგები? როგორ გითხრა: უნდა ვიფიქროთ, რომ ისინიც გერმანელები არიან, მხოლოდ უარესნი.

აქ ბარტეჟმა წამოიძახა:

— ოოჰო, საძაღლები!

აქამდის ბარტეჟს ფრანგებისა ეშინოდა. ახლა კი პრუსიის ჯარის კაცმა იგრძნო რაღაც პატრიოტული მძულვარება მათდამი. მაგრამ იმან მთლად კიდევ ვერ გაიგო, რაც ვოიტეჟმა უთხრა და ამიტომ ხელახლა ჰკითხა:

— მაშ გერმანელები უნდა ისევ გერმანელებს ეომონ?

ახლა კი იკადრა ვოიტეჟმა შედარების ხმარება და უპასუხა:

— განა შენი არაპკა კი არა ჰკბენს ხოლმე ჩემს მალჩიკს?*)

აქ ბარტეჟმა დაალო პირი და რამდენსამე ხანს ისე უყურებდა თავის მოძღვარს.

*) არაპკა და მალჩიკ ძაღლების სახელებია.

— დიად, ესეც მართალია.

— ავსტრიელებიც ხომ გერმანელები არიან, განაგრძო ვოიტეჟმა, და განა ჩვენებს არ ჰქონიათ ომი მათთან? მოხუცმა მათემ ერთხელ გვიამბო, რომ, როდესაც ომში ვიყავიო, შტეინმეცი გვიყვიროდაო: „აბა, ძმებო, ხოცეთ გერმანელებიო!“ მაგრამ ფრანგებთან საქმის დაჭერა კი უფრო ძნელი იქნება!...

— ნუ თუ!

— ფრანგს ყოველთვის გაუმარჯვნია. თუ კი იმან ერთხელვე ხელში ჩაგიგდო, ფიქრი ნუ გაქვს, ცოცხალი ვერ წაუხვალ! თვითოეული მათგანი ორჯერ-სამჯერ უფრო ღონიერია ჩვენებურს გლებზედ. ზოგი მათგანი შავია ეშმაკივით და წვერები ურისავით აქვს ჩამოკიკინებული; ამისთანა კაცს რომ შეხვდე, ქვეყანას უნდა გამოეხალმო...

— მაშ რათ უნდა მივდიოდეთ მათ წინააღმდეგ? წამოიყვირა ბარტეჟმა სასოწარკვეთილებით.

ამ ფილოსოფიურს კითხვაზედ ვოიტეჟმა უთხრა:

— მეც არ მინდოდა წასვლა, მაგრამ, ჩვენ რომ არ წავიდეთ, თვითონ ისინი მოვლენ ჩვენთან. ვერაფერს ვერა იქ! წაიკითხე, რაც დაბეჭდილი არის? ძალიან განძვინებულნი არიან ჩვენს გლებებზედ. ამბობენ, რომ მათ უნდოდათ ჩვენთვის ადგილები

წაერთმიათ, კონტრაბანდად (ქურდულად) გამოეტანათ ხოლმე არაყი ცარსტვოდგან (რუსის პოლონეთიდან), მაგრამ მთავრობამ არ მისცა ამის ნება და აი ამიტომ გამოგვიცხადეს ომი .. გესმის?

— რატომ არ უნდა მესმოდეს? მიუგო წყნარად ბარტეჟმა.

ვოიტეჟმა განაგრძო:

— ქალებზედ მათ ისე უჭირავთ თვალი როგორც ძაღლს ქონზედ.

— მაშ, ისინი, მაგალითად ვსთქვათ, ჩემს მაგდასაც აღარ მოუსვენებენ?

— დიად, ისინი ბებრებსაც არ იწუნებენ.

— ოხ! წამოიძახა ბარტეჟმა ისეთის ხმით, თითქო უნდოდა ეთქვა: თუ აგრეა, მაშ მე მათ ვაყურებიანებ სეირსო.

ამ სიტყვებმა გამოიყვანეს იგი მოთმინებიდან. დაე, არაყი გამოიტანონ ფრანგებმა ქურდულად, მაგრამ მაგდას კი ხელს ნუ ახლებენ. ახლა ბარტეჟი ამ ომს უყურებდა თავის პირადის ინტერესების მიხედვით და თითქო გამხნევდა კიდევ იმ აზრით, რომ ამდენი ჯარი და ზარბაზნები ესარჩლებიან მის მაგდას, რომელსაც ემუქრება ფრანგების უნამუსობა და გარყვნილება. უნებლიედ მოკუმშა ხელები და მის გულში ფრანგების შიშს დაემატა მათდამი მძულვარების გრძნობა. ბარტეჟი ახლა კარგად მიხვდა, თუ რისთვისაც უნდა წასულიყო ომში. ამასო-

ბაში, სალამოს ბინდ-ბუნდი გაჰქრა და დალამდა. ვაგონებმა დაიწყეს აქეთ-იქით რწევა უსწორ-მასწორ-რო რელსებზედ და იმის დაგვარად ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ გადად-გადმოდიოდნენ სამხედრო ქუდები და ხიშტები.

გავიდა ერთი, ორი საათი. ორთქლმავალი ის-როდა ბულქვა-ბულქვად ცეცხლის ნაპერწკლებს, რომლებიც ბნელაში მოსჩანდნენ ერთი-ერთმანერთში დახლართულს ცეცხლის ხაზებად და დაკლავნილს გველებად. ბარტეკს დიდხანს არ დასძინებია. მის თავში მოუსვენრად ირეოდნენ ფიქრები მაგდაზედ, ომზედ, იარმოზედ, ფრანგებზედ და გერმანელებზედ ისე, როგორც ჰაერში ნაპერწკლები. ბოლოს დაეძინა, როგორც იქნა, მაგრამ რალაც აშფოთებულის ძილით და მაშინვე დაესიზმრა, ვითომც არაპკა ჰკბენდა მალჩიკს და აბღღენიდა ბანალს. ბარტეკმა წამოაფლო ჯოხს ხელი, რომ გაეზავებინა ძაღლები, მაგრამ ამ დროს უეცრად დაინახა, რომ მაგდასთან იჯდა ვილაც ეშმაკივით შავი ფრანგი; მაგდაც კმაყოფილია და იღრიჭება სიამოვნებით; ფრანგები დასცინიან ბარტეკს და თითით აბრაზებენ...

მატარებელი რახრახებს და ამ რახრახში ბარტეკს მოესმის ფრანგების ძახილი: „მაგდა, მაგდა, მაგდა!“ ბარტეკი ჰყვირის ტირილით: ოხ, თქვე წყეულებო, გაუშვით დედა-კაცი! მაგრამ

ისინი არ უგდებენ ყურს და განაგრძობენ: „მაგდა, მაგდა, მაგდა!“ არაპკა და მალჩიკი ჰყეფენ. მთელი იარმო ყვირის: არ დაანებოთ დედა-კაცი და ბარტეჟი კი თითქო ხელ-შეკრულია, მაგრამ არა, დატრიალდა, გასწყვიტა ბაწარი, რომლითაც ვითომ შეკრული იყო, წაავლო თმაში ხელი ფრანგს და ერთს წამს...

ამ დროს უეცრად იგრძნო ბარტეჟმა რაღაც საშინელი ტკივილი, თითქო მისთვის მაგრა დაეკრას ვისმეს კეტი. გამოელვიძა და წამოხტა. ყველას გამოელვიძება და განცვიფრებულნი ეკითხებიან ერთმანეთს: რა მოხდაო? საბრალო ბარტეჟმა ძილში თურმე უნტერ-აფიცერს წაავლო ხელი წვერებში. ახლა იდგა იგი გაქიშული საყესავით და ორი თითი ეკავა საფერთქელთან; უნტერ-აფიცერი აქნევს ხელებს და გაგიჟებულივით ყვირის: Ach Sie! Dummes Vieh aus der Palakeil Hau' ich dem Lummel in die Fresse, dass ihm die Zähne sektionenweise aus dem Maule herausfliegen werden. ხმა ჩაეხლიჩა კიდევ ნამეტანის სიანჩხლისაგან. საწყალი ბარტეჟი კი ღვას ისევ გაშეშებული და თითი საფეთქელთან უკავია. სხვა სალდათები ტუჩებს იკვნეტენ, არ გაგვეცინოსო; ყველანი შიშის ქარს აუტანია, მიტომ რომ უნტერ-აფიცერი ილანძღება: Ein polnischer Ochse! Verfluchtes Vieh aus Podolien! (პოლონელო ხარო! შე დაწყევლილო პადოლიელო

პირუტყვო!) ბოლოს გათავდება ლანძღვა-გინებაც და მყუდროება ჩამოვარდება. ბარტეკი ჯდება ისევ თავის ადგილზედ და გრძნობს მხოლოდ, რომ ლო. ყა თან-და-თან უსივდება. მატარებელი კი, თითქო გამოსაჯავრებლად, იმეორებს უწინდებურათ:

„მაგდა, მაგდა, მაგდა!“

ბარტეკს მთლად ნალველი მოედო.

III

თენდება. მკრთალი დღის სინათლე მისდგომია უძილობისაგან დაღალულს პირი-სახეებს. სკამებზედ მიყრილ-მოყრილან სალდათები და სძინავს; თავი ზოგს დაუკირწავს და ზოგს უკან გადაუგდია. დილის ცისკარი ვარდის ფრად მოეფინა მთელს არემარეს. ჰაერში სუფევს გამამხნევებელი სიგრილე. სალდათებს გამოელვინებათ და ათვალთვინებენ უცნობს ადგილებს. ოჰ! სადაა ახლა იარმო, დიდი და პატარა კრივდა და ნესჩასტნოი? დაიწყო უცხო ქვეყანა. აქეთ-იქით მალლობები დაფარულია ნორჩის მუხის ტყეებით. დაბლობებში სახლები დახურულია კრამიტით და თეთრს კედლებზედ გავლებულია შავ-შავი ზოლები. ყველა სახლები შემოსილია ვაზებით. აქა-იქ მოსჩანან ეკკლესიები წვეტიანის კოშკებით ან და ქარხნის მაღალი ბუხრის

მიღები. მხოლოდ არსად მოსჩანან გაშლილი ადგილები, სათიბები და ველები. სამაგიეროდ რამდენი ხალხია! აი აგერ გამოჩნდება ხან სოფელი, ხან ქალაქი, მაგრამ მატარებელი მაინც არსად ჩერდება და უვლის გვერდს პატარა სტანციებს. რალაც უნდა მომხდარიყოს, რომ ყველა სტანციაზედ ამდენი ხალხი ხვდება მატარებელს. მზე დინჯად ამოდის. სალდათები ლოცვას იწყებენ.

ბოლოს მატარებელიც ჩერდება მთავარს სტანციაზედ. იმ წამსვე შემოეხვევა მას ხალხი ჯგუფად. ბრძოლის ველიდგან ამბავი მიუღიათ: „გამარჯვება! გამარჯვება!“ რამდენისამე საათის წინათ მიუღიათ გამარჯვების ტელეგრამმა. ყველა დამარცხებას მოელოდა და ამიტომ არის გამარჯვება რომ განუსაზღვრელად უხარიათ. მცხოვრებლები თითქმის პერანგის ამარა გამოცვივდნენ სახლებიდგან და გაეშურენ სტანციისაკენ. ზოგიერთებს თავიანთ სახლებზედ ბაირაღები აუმართნიათ. არის ერთი ცხვირსახოცების ქნევა. ვაგონებთან მიაქვთ სასმელები, თუთუნი, სიგარი და სხვა. აუწერელი სიხარულია, სახე ყველას უბრწყინავს, ყოველის მხრიდგან მოისმის სიმღერა: *Wacht am Rhein*. ზოგი სტირის, სხვები ეხვევიან ერთმანერთს და ულოცავენ: „ჩვენმა ფრიდრიხმა დაამარცხა მტერი, წაართვა ზარბაზნები და ბაირაღები!“ ამ კეთილშობილურს აღფრთოვანებაში ხალხი აწოდებს სალდათებს, რაც კი რამ თან

გაანჩნა. სალდათები თავის მხრით გამხნევენ და დაიწყეს სიმღერა. ვაგონები ტოკავენ მათის სიმღერით და ხალხი გაკვირვებული უგდებს ყურს ამ სიმღერას უცხო ენაზედ. „Die Polen, die Polen“ (პოლონელები, პოლონელები!)“ გაიძახის ხალხი, და უფრო-და-უფრო ეხვევა გარშემო ვაგონებს და, ვინ იცის, რამდენს რას ლაპარაკობს პოლონელების ჯარის უშიშარს და შეუპოვარს მამაცობაზედ.

ბარტექს გაუსივდა ლოყა, რომელიც მის ყვითელს წვერებთან, გამოქაჩულს თვალებთან და მამაცურს შეხედულობასთან, აძლევდა მას საშიშარს გამოხატულებას. იმას უცქეროდნენ, როგორც საოცარს მხეცს. როგორი ქომავი ჰყავთ გერმანელებს! აი ვინ გასცემს პასუხს ფრანგებს! ბარტექი კმაყოფილად იღიმება: ისიც მოხარულია, რომ ფრანგები დაამარცხეს. აწი ველარ მოვლენ ისინი იარმოში, ველარ დაუწყებენ არშიყობას მის მაგდას და ველარც ადგილებს მოსტაცებენ მათ. სკამს მადიანად მუხუდოს გუფთას და თან რამოდენსამე კრუშკა ლუდს ზედი-ზედ ისე ყლოურქავს, თითქო მუცლის მაგიერად უფსკრული აქვსო. ვინ თუთუნს აწოდებს, ვინ ფულის, და იმასაც ყოველიფერი მიაქვს.

— კეთილი ხალხი ყოფილა ეს გერმანელები! ეუბნება ვოიტექს და თან უმატებს: ხომ ხედავ, როგორ დაამარცხეს მათ ფრანგები.

მაგრამ ვოიტეჟი ურწმუნოა. ასე ადვილათ იმას ვერ დააჯერებ.

ფრანგები თავ-და-პირველად ყოველთვის უტყვენ ხოლმე, რომ მტერს თვალები აუხვიონ, თორემ შემდეგ, როცა კი ხელს გამოიღებენ, სულ ლიწინ-ლიწინს დააწყებინებენ მტრის გვერდებს.

ვოიტეჟმა როდი იცის, რომ მთელი ევროპა ამ აზრის არის, და არც ის იცის, რასაკვირველია, რომ მთელი ევროპა ვოიტეჟთან ერთად სცდება საშინლად.

დაინძრენ ადგილიდგან. ყოველგან, სადაც კი თვალი მისწვდება, მოჩანს სახლებზედ აფრიალებული ბაირაღები. ზოგიერთს სტანციაზედ მატარებელს კარგი ხანი აგვიანებდა, რადგან მატარებლები ერთიერთმანერთზე მოდიან. ყოველის მხრიდგან მოდიან ჯარის კაცები, რომ თავიანთს გამარჯვებულს მოძმეებს მხარი მისცენ. მატარებლები მორთულია ყვავილებით და ხის მწვანე შტოვებით. ულანების ხიშტებს ამწვენებენ თაიგულები. ულანების უმეტესი ნაწილიც პოლონელები არიან. ხშირად სალდათები გამოელაპარაკებიან ხოლმე ერთმანერთს ვაგონებიდგან.

— როგორ მშვიდობით ბრძანდებით, ძმებო? სად მიემგზავრებით? ხან-და-ხან მოისმის ხოლმე ნაცნობი სიმღერა, რომელსაც აძლევენ ბანს ბარტეჟი და მისი ამხანაგები დიდის ალტაცებით.

იმ დარდის ადგილს, რომელსაც შეეპყრა სალ-

დათები იარმოდგან გამოსვლის დროს, ახლა იკავებს მხიარულება და სითამამე. მაგრამ შშვენიერს გუნებას უფუქებს მათ პირველადვე მოსული მატარებელი, დაქრილებით საესე. ამ მატარებელს დიდხანს მოუხდა სტანციაზედ გაჩერება, რადგან წინათ უნდა გაესტუმრებიათ ისინი, რომელნიც ბრძოლის ველზედ მიეშურებოდნენ. ბარტეკი თავის ამხანაგებიანად წავიდა ავადმყოფების და დაქრილების სანახავად. ზოგი მათგანი იწვა დახურულს ვაგონში და ზოგი კი, უადგილობის გამო, ახდილს ვაგონში; უკანასკნელების გასინჯვა აღვილად შეიძლებოდა. „აქ მრდი, ვოიტეკ, უყვირის შეშინებული ბარტეკი, შეხედე, რამოდენი ხალხი გაუფუქებიათ ფრანგებს!“ შემადრწუნებელს სანახავს წარმოადგენენ დაქრილების გაყვითლებული და დაქანცული ნაქვთები; ზოგი მათგანი მთლად გაშავებულია თოფის წამლის კომლისაგან და გასვრილა სისხლით. მხიარულს მოკითხვაზედ დაქრილები მხოლოდ კნესით უპასუხებენ. რამოდენიმე მათგანი სწყევლის ფრანგებსა და გერმანელებს შორის ატეხილს ომს. მათის გამშრალის პირიდგან ხშირად მოისმის: წყალი, წყალი! თვალები ებნევათ. აქა-იქ დაქრილებს შორის მოსჩანს მომაკვდავის გაცივებული სახე, ხან მშვიდობიანის, ამოლურჯებულის თვალებით, ხან კი ფილენჯის ქარისაგან დამახინჯებულის საშიშარის შეხედულობით და დაკრეკილის კბილებით. ბარტეკი

პირველად ხედავს ომის საზარელს შედეგს. დომხალი-
ვით აერია მას ყოველისფერი თავში; მთვრალივით
იყურება გაშტერებული და პირ-დაღებული. ველარ
გრძნობს, რომ ჟანდარმები კაი-კაი მუჯღლუგუნებს უძ-
ღვნიან მას და სცემენ ზურგში. იგი დაეძებს ვოიტექს.
აი იპოვა კიდევ.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! რა უბედურობაა, რა
განსაცდელია?

— შენც ეგ დაგემაართება!

— ნუ თუ ამ გვარად სწყვეტენ ერთმანერთს
ადამიანები? გლახმა რომ გლახს სცემოს, ხომ მა-
შინვე საპყრობილეში აკვრევენებენ თავს ჟანდარ-
მები და დასტანჯავენ.

— ახლა კი იმას უფრო დიდი სახელი აქვს,
ვინც უფრო ბევრს ხალხს გააფუჭებს. შე სულელო,
მგონია, ფიქრობდი, რომ ქალაქდით დატენილის
თოფით დაუწყებდი სროლას ნიშანს, როგორც ვარ-
ჯიშობის დროს შვრებოდდი, და არა კაცებს.

თუმცა ჩვენი ბარტეჟი ხშირად იღებდა ხოლმე
მონაწილეობას მანევრებსა და პარადებში, ისროდა
თოფს და იცოდა კიდევაც, რომ ომში კაცები
სწყვეტენ ერთმანერთს, მაგრამ ახლა, როდესაც და-
პკრილები ნახა, ისეთ-ნაირად შეუწუხდა გული, რომ
ძლივს შემაგრდა ფეხზედ. ის ახლა უფრო მეტის
პატრვის-ცემით გაიმსქვალა ფრანგებისადმი. ეს პა-
ტრვის-ცემა შეუმცირდა მხოლოდ მაშინ, როდესაც

კელნი მივიდნენ. აქ იმან პირველად ნახა დატყვევებული ფრანგები, რომელთაც შემოხვეოდნენ სალდათები და უბრალო ხალხი და უყურებდნენ ცნობის მოყვარეობით, მაგრამ ჯერ კიდევ არ გრძნობდნენ მათდამი ზიზღს. ბარტეჟმა გაარღვია როგორც იყო ჯარი იდაყვების წყალობით, შეიხედა ვაგონში და შეკრთა: ფრანგების ქვეითი ჯარი, დაფლეთილს ფაოჯებში გახვეული, გასვრილი და დაქანცული, ეყარა ვაგონებში; დაბალი, უბრალო ჯარის კაცები თევზებივით ეწყვნენ ერთმანერთზედ. ბევრი მათგანი მოწყალეებისათვის აშვერდა ხელს. ბარტეჟმა ახლა სულ სხვა აზრი შეადგინა ფრანგებზედ. იგი ისევ გამხნვედა და მიიხედ-მოიხედა, სადმე ახლოს ხომ ვოიტეჟი არ არისო. ვოიტეჟი იქვე იდგამის წინ.

— რას მატყუილებდი? ჰკითხა ბარტეჟმა. წყალში ამოწუმპულს ქათმებსა ჰგვანან. ერთს რომ წავავლო ხელი, ოთხი დაენარცხება მიწაზედ.

— თითქო დაქლეჟებულანო! მიუგო ვოიტეჟმა, თვითონაც ძალიან გაკვირვებულმა.

— ვერაფერი შესანიშნავი ხალხი ყოფილა! შენიშნა ბარტეჟმა და მოსცილდა ვაგონს.

შემდეგს ვაგონებში ისხდნენ ზუავეები. ისინი უფრო საინტერესონი შეიქნენ ბარტეჟისათვის. რადგანაც დახურულს ვაგონებში იყვნენ, არ შეიძლებოდა ნამდვილის შეტყობა, თუ მართლა თვი-

თეოული მათგანი ორჯერ, ან სამჯერ უმაღლესი იყო ჩვეულებრივს ადამიანზედ; მაგრამ ფანჯრებში გამოჩნდა მაინც გრძელი წვერები და ამაყი სახეები გამოცდილის ძველის სალდათებისა. ბარტეკი ისევ დალონდა.

— ესენი უფრო საშიშნი არიან! წასჩურჩულა ვოიტეკს, თითქო ეშინოდა, რომ არავის გაეგონა.

— შენ ხომ კიდევ ისინი არ გინახავს, რომელნიც არ დაუტყვევებიათ, უპასუხა ვოიტეკმა.

— სწორედ რომ საშიშნი იქნებიან!

— მართალს მაშინ მეტყვი, როცა ნახავ!

ამას შემდეგ მოშორდნენ ზუაფებს, მაგრამ შემდეგს ვაგონს რომ მიუახლოვდნენ, ბარტეკმა ერთი უეცრად დაიწია უკან, თითქო დეზი ჰკრესო და დაიყვირა:

— ჰეი, ყარაულო! ვოიტეკ, მიშველე!

გაღებულს ფანჯარაში მოსჩანდა ბნელი, თითქმის შავი სახე ტურკოსისა, რომელიც გაგიჟებულსავით აბრიალებდა თვალებს. ის სწორედ დაქრილი უნდა ყოფილიყო, ისეთ ნაირად ჰქონდა პირი-სახე დამახინჯებული ტანჯვით.

— ჰო, რა იყო? ჰკითხა ვოიტეკმა.

— ეს ეშმაკია და არა სალდათი. ღმერთო, მეოხ მეყავ მე ცოდვილსა!

— ხედავ, როგორი კბილები აქვს!

— ოხ, რომ იმას... მე არ შემიძლია თვალი

გაუუსწორო. ბარტეჟი გაჩუმდა, მაგრამ შემდეგ ისევ იკითხა:

— ვოიტეჟი!

— რა გინდა?

— არაფერს უშველის, რომ პირს ჯვარი გადავსახოთ?

— რაში ესაჭიროება მათ ჩვენი სარწმუნოება! ბრძანეს ვაგონებში შესვლა. მატარებელიც დაიძრა. როდესაც შებინდდა, ბარტეჟს თვალ წინ წამოუდგა ტურკოსის შავი სახე და ელანდებოდა მისი საშიშარი გამოთეთრებული თვალები. ის გრძნობა, რომელიც იმ ღამეს ბარტეჟს აღელვებდა, ძალიან ცოტა იმედს აძლევდა გამარჯვებისას.

IV.

ღირს-შესანიშნავმა გრაველოტის ომმა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ბარტეჟიც, დაარწმუნა ის, რომ ომში ხეირი არავის დაეყრება, მაგრამ, აბა, რა უნდა ექნა! თავ-და-პირველად იმ პოლკს, რომელშიაც ბარტეჟი ირიცხებოდა, ნაბრძანები ჰქონდა ფეხ-მოუცვლელად დგომა და ლოდინი მთის ძირში, რომელიც დაფარული იყო ვენახებით. შორიდგან მოისმოდა ზარბაზნების გრიალი; ახლოს ისმოდა ცხენოსანის ჯარის ბრაგუნი, რომლისაგანაც მიწა ირყეოდა; ჰაერში ელავდენ

ბაირალები და ხმლები. მთაზედ ლაჭვარდის ცის სივრცეში ზუილით მისცურავდნენ ყუმბარები თეთრის ღრუბლების მზგავსად. შემდეგ ჰაერი აივსო კომლით. თავ-და-პირველად კაცი იფიქრებდა, ომის ქარიშხალი გვცილდებოა, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. რამოდენისამე ხნის შემდეგ მოხდა გასაოცარი მოძრაობა. გამოჩნდნენ ახალ-ახალი ჯარები და მათ უკან მოჰქონდათ ზარბაზნები; ცხენებს ხსნიდნენ სწრაფად. თვალის დახამხამებაში მთელი ველი ჯარებით დაიფარა; ყოველის მხრიდგან ისმის კომანდობა და აღიუტანტები გარბი-გამობრიან. სალდათები უჩურჩულებენ ერთმანერთს ყურში: „ჩვენ კი დაგვადგება სიმწრის დღეო!“ ან აშფოთებით ეუბნებიან ერთმანერთს: „ერთი დაიწყებოდეს მაინც!“ რასაკვირველია, რომ დაიწყება. აი ახლოვდება კიდევ რაღაც უცნაური, რაღაც მოჩვენება, შეიძლება სიკვდილი... კომლში, რომელიც მთლად ფარავს მთას, რაღაც დულს და თეთრად მოჩახჩახებს. თანდათან ახლო ისმის ზარბაზნის გრიალი და თოფის სროლა. შორიდგან მოისმის რაღაც გაურკვეველი ტკაცა-ტკუცი,—ეს ყუმბარებისაგან არის. ამ დროს უეცრად, ისეთი მძლავრი ხმა გამოსცეს ახლად მომართულმა ზარბაზნებმა, რომ მიწა და ჰაერი ერთბაშად შეინძრა. ბარტეჟის პოლკის წინ რამლაცა საშინლად დაისივლა. გაიხედა და რა დაინახა: მოჰქრის გამოქანებული რაღაც განა-

თებულო ღრუბელივით და ამ ღრუბელში რაღაც სისინებს, იცინის, იღრიჯება, ხვიხვინებს და ღმუის. გლენები ჰყვირიან: ყუმბარა, ყუმბარაო! ამასობაში ის რაღაცა გრიგალი ქარივით მოდის, უახლოვდება ჯარს, ეცემა მიწაზედ და სკდება! მოისმის საშინელი ხმა, თითქო მთელი ქვეყანა დაიქცაო. სალდათების რაზმი, რომელიც ზარბაზნების ახლოს იდგა, აირ-დაირევა, ისმის ყვირილი და შემდეგ ბრძანება: „დადექით!“ ბარტეჟი დგას პირველს რაზმში, თოფი მხარზედ უდევს, საყესავით ამართულა, ყბა მაგრად ახვეული აქვს და მხოლოდ ამიტომ არ უცახცახებს კბილები. არც განძრევისა და არც თოფის სროლის ნება არ აქვს. უნდა იდგეს და ელოდებოდეს! ამასობაში მოჰქრის ყუმბარა ყუმბარაზედ. ქარი ჰფანტავს კომლს, რომელიც მთას ფარავს. ფრანგებმა ჩამორეკეს კიდეც მთიდგან პრუსიის ბატარეა, გამართეს თავისი და დაუშინეს ზარბაზნები ველს. წამ-და-უწუმ ხშირის ვენახიდგან აღის გრძლად კომლის თეთრი ზოლი. ქვეითი ჯარი ზარბაზნების მფარველობის ქვეშ თანდათან იწევს ძირს, რომ გამართოს თოფის სროლა. ახლა ფრანგები ძალიან კარგად მოჩანან. ვენახებს წითელი ხაშ-ხაშა ფერი დაედვა. ეს ქვეითის ჯარის წითელის ქუდებისაგანაა. შევიდნენ კიდეც ისინი ვენახებში. ერთი სულიც აღარ სჩანს; მხოლოდ ადგილ-ადგილ ფრიალობს ჰაერში სამფეროვანი ბაირალი. დაიწყეს

თოფის სროლა ხშირი, არეული, დაქინებული, გაფიცებული და ეს თოფის სროლა იჭექავს ხოლმე სულ ახალ-ახალს ადგილებზედ. ამ თოფის სროლაში ღმუიან ყუმბარები, ირევიან ერთმანერთში. მთაზედ წამდაუწუმ მოისმის ყვირილი, რომელსაც ქვევიდგან ბანს აძლევს გერმანელების „hurrah!“ (ურა!) ძირს ველზედ განუწყვეტლად გრიალებენ ზარბაზნები. პოლკი დგას უძრავად. აი ამასაც სწვდა თოფის ცეცხლი. ტყვიები ბზუიან შორს ბუზებივით, ან და გაგიქროლებენ ყურთან საშინელის სტვენით. ტყვიები თანდათან მრავლდებიან: აგერ გაგიქროლებს ტყვია თავთან, ფეხებთან, თვალებთან, მხრებთან ათასობით, მილიონობით. ბარტეკის ზურგს უკან ვინღაც უეცრად დაიკვნესა: „ოხ, ღმერთო ჩემო!“ მოისმის ბძანება: „წრე შეჰკარით!“ კიდევ დაიკვნესებს ვიღაც: „ოხ, ღმერთო ჩემო!“ ისევ იგივე ბძანება: „წრე შეჰკარით!“ ბოლოს შეიქნება ერთი განუწყვეტელი კვნესა, კომანდობა ხშირდება, რაზმები იჯგუფებიან. დახოცილებს მოათრევენ ფეხებით. სწორედ რომ მეორედ მოსვლაა!..

— გეშინია? ეკითხება ვოიტეკი ბარტეკს.

— როგორ არ უნდა მეშინოდეს? უპასუხებს ჩვენი გმირი კბილების კრაქუნით.

ბარტეკი და ვოიტეკი გაჩერებულან თავ-თავის ადგილს და ფიქრადაც არ მოსდით, რომ გაპარვით თავის დაღწევა შესაძლებელია. ნაბძანები აქვთ და

უნდა იდგნენ. მაგრამ ბარტეკი სტყუის, მას ისე არ ეშინია, როგორც სხვებს შეეშინდებოდათ მის ადგილს რომ ყოფილიყვნენ. დისციპლინა მთლად იპყრობს იმის აზრს და ეს უკანასკნელი ისე საშიშრად არ უხატავს მდგომარეობას, როგორს საშიშროებასაც ეგ მდგომარეობა მართლა წარმოადგენს. ბარტეკი ფიქრობს, რომ მაინც ცოცხალი ვერ გადურჩება ამ ომიანობას და ამ აზრს უმუქავნებს ვოიტეკსაც.

— ქვეყანა არ დაიქცევა, თუ ერთი სულელი მოაკლდება! უპასუხებს წყრომით ვოიტეკი.

ამ სიტყვებმა სრულიად დაამშვიდა ბარტეკი. შეიძლება, რომ მართლაც მთელი მისი აზროვნება მდგომარეობდა მხოლოდ ფიქრში, დაიქცევა თუ არა მართლა ქვეყანაო. ამ მხრით რომ დამშვიდდა, შემდეგ აიკურვა მოთმინებით, მაგრამ გრძობდა კი მაინც, რომ საოცრად სცხელოდა მას. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. ამასობაში თოფის სროლაც თანდათან ძლიერდება და რაზმები ერთი მეორეზედ ჰქრებიან. მომაკვდავების ხროტინი ერთვის ტყვიის ზუილს და ზარბაზნის გრგვინვას. მკვდრები და დაქრილები აღარავის გამოაქვს ბრძოლის ველიდგან. სამფეროვანი ბაირალი მოძრაობს, ეტყობა, რომ ვენახებში დამალული ქვეითი ჯარი თანდათან ახლოვდება. რაზმები სასოწარკვეთილებაში ვარდებიან.

მაგრამ ამ სასოწარკვეთილების მითქმა-მოთქმა-

ში მოისმის გაბოროტებული და მოუთმენელი ღრტვინვაც. იმ დროს რომ ადგილიდგან დაძვრის ნება მიეცათ, სალდათები სწორედ ველური მხეცებივით გაიქცეოდნენ წინ, მაგრამ ლოდინი კი აუტანელია. ვილაც სალდათი მოიგლეჯს თავზედ ქუდს, დაარტყამს მიწაზედ, რაც ძალი და ღონე აქვს, და იტყვის:

— ძალლი ერთხელ მაინც ხომ უნდა ჩაიღრძოს!

ამ სიტყვებმა ისე დაამშვიდა ბარტეკი, რომ სრულიად გამხნევდა. მართლა, თუ კი ძალლი მხოლოდ ერთხელ უნდა ჩაიღრძოს, მაშ, კაცმა რომ თქვას, აქ მაგდენი თავის სახეთქიც არა არის რა. ეს გლეხური ფილოსოფია სწორედ რომ ყოველს ფილოსოფიაზედ უკეთესია, მიტომ რომ კაცს ამხნევებს. ბარტეკმა წინადაც კი იცოდა, რომ ძალლი მხოლოდ ერთხელ მოკვდება, მაგრამ მაინც ძალიან იამა ახლა ამის გაგონება და ამაზედ გულის დაჯერება, მით უფრო, რომ ბრძოლამ მიიღო ნამდვილის ჟღერა-ხოცვის ხასიათი. აი პოლკს ჯერ ერთი თოფიც არ გაუსროლია და ნახევარი კი აღარ არის. სალდათების გროვა სხვა-და-სხვა პოლკებიდგან მირბის ბრძოლის ველიდგან, მაგრამ იარმოელი, დიდი და პატარა კრივდელი, ნედლოლიელი და ნესჩასტნოელი გლეხები პრუსიის მკაცრის და უწყალო დისციპლინისაგან დამონებულნი დგანან გაშეშებულნი. მაგრამ მათი რაზმიც ირყევა. მხოლოდ ერთი

წუთი კიდევ და დისციპლინის ჯაჭვი მტვრად იქცევა. მიწა ფეხ-ქვეშ რბილდება სისხლისაგან, რომლის ცხარე სუნი ირევა თოფის წამლის სუნში. რაზმებში ზოგიერთს ჩამოცილებულს სალდათებს არ შეუძლიათ შეჯგუფდნენ, იმიტომ რომ მიწა მოფენილია დახოცილებით. აი აგერ სალდათების წინ, რომელნიც თავიანთ ადგილზედ შეუჩყველად დგანან, სცურავენ მომაკვდავი სისხლის ტბაში, კენესიან, ფილენჯ-მორეულივით ძიგძიგებენ და, თუ სულს არ ლევენ იქვე, სიცოცხლის ნიშანი ხომ მაინც დაკარგული აქვთ. სული ეხუთება ადამიანს. რაზმებში მოისმის დრტვინვის ხმა:

— აქ სწორედ სასაკლავოზედ მოგვიყვანეს.

— ვერაფერ წავა აქედან ცოცხალი.

— Still, polnische Vieh! (ჩუმად, პოლონელო პირუტყვო!) მოისმის აფიცრის ხმა.

— შენ რა გიშავს, ჩემს ზურგს უკან რომ ამოფარებულხარ!

— Steht der Kerl da!

უცებ ვიღამაც წამოიძახა:

— შენის მფარველობის ქვეშ...

ბარტეჟიცი წამოიძახებს უნებურად:

— შენ მოგმართავთ, ღვთის-მშობელო!...

ამასთანავე პოლონელების ხორა ამ სიკვდილის ველზედ მიმართავს ვედრებით ჩესტოხონის ღვთის-მშობელს: „ნუ უგულბელს ჰყოფ ვედრებასა ჩვენ-

სა!“ იმავე დროს მათ ფეხქვეშ ისმის ოხვრა: „ოჰ, ღვთის-მშობელო დედაო!“

— ღვთის-მშობელმა თითქო მართლა შეიწყნარა მათი ვედრება, მიტომ რომ თითქმის იმავე წამში მოიბრინა ადიუტანტმა და შესძახა სალდათებს: „ხიშტები, აბა იერიშით!“ სალდათებმა მყისვე დაუშვეს ძირს თოფები, დაეწყვიტნენ გრძლად და გაექანენ მთისაკენ მტრის მოსაძებნელად, რომელიც ვენახებში იმალებოდა. მაგრამ მთამდის კიდევ იქნება ორასს ნაბიჯამდის და ეს მანძილი სალდათებმა უნდა გაირბინონ შემმუსრავს ცეცხლში... არ დაიღუპებიან განა ახლა მთლად ყველანი? ნუ თუ არ უშველიან თავს და არ გაიქცევიან? შეიძლება დაიღუპონ და გაიქცევით კი არ გაიქცევიან, მიტომ რომ პრუსიელებმა იციან თუ რა უმღერონ პოლონელებს იერიშის დროს. ზარბაზნების გრგვინვაში, სროლაში, კომლში, არეულობაში და კენესაში ხმა-მალლა მოისმის ბუკის ხმა.

— ურა! გრიანებენ გლეხები და თან იმღერებიან პოლონელების საყვარელს სიმღერას.

პოლონელებს თავიანთი თავი აღარ ახსოვთ; გარშემო ცეცხლის ალი არტყიათ, მაგრამ ისინი გრიგალი ქარივით მოჰქრებიან მაინც მტრისაკენ. ბევრი ეცემა, კვდება, მაგრამ ვინც ცოცხალი რჩება, არ ჩერდება მაინც, მიდის და მიდის მტრისაკენ. აჰა, კიდევაც მიაწიეს ვენახებამდე და შედიან შიგ.

ისმის მხოლოდ სიმღერის ხმა და ხანდისხან აქა-
იქ გაიფლავს შუბი. ზევით მთაზედ გაცხარებული
სროლაა. ქვეით ბუკის ხმა არ სწყდება. ფრანგების
გაცხარებული და გამალებული სროლა ხშირდება
თან-და-თან, მაგრამ უეცრად შესწყდება. იქ, ძირს
მოხუცი შტეინმეცი სწევს ფართოთარის ჩიბუხს და
ღიმილით ამბობს:

— პოლონელებს ოღონდ კი ეს ხმა გააგო-
ნეთ და! ყოჩაღ, ბიჭებო! მთას მოექცევიან კიდევ
წვერზედ!...

ამის შემდეგ ერთი სამფეროვანი ბაირალი, რო-
მელიც ამაყად ფრიალებდა ჰაერში, შეითამაშებს ზე-
ვით, დაეშვება ძირს და ბოლოს ჰქრება სადღაც...

— არ უყვართ ხუმრობა! შენიშნავს შტეინ-
მეცი.

ბუკი უკრავს წინანდელს ხმას. პოზნანის მეორე
პოლკი მიიჩქარის პირველის პოლკის მისაშველებლად.
ხშირს ვენახებში ხიშტების გაცხარებული მუშაობაა...

ახლა კი, მუზავ, აღიდგ ჩემის გმირის მამაცო-
ბა, რომ მიაწიოს ამ მამაცობამ მის ჩამომავლო-
ბამდე. ბარტეკს ახლა შიში, მოუთმენლობა და სასო-

წარკვეთილება გადაექცა რაღაც გიჟურს გრძნობად.
იმას დაავიწყდა, რომ „ძალი ეროზელ ხომ მაინც
უნდა ჩაიდრძოს“, დაავიწყდა თავის თავი და ყო-
ველისფერი ქყეყანაზედ. წამოატანა ძალუმად ხე-
ლი თოფს და წინ გაექანა სხვებთან ერთად. სანამ
მთის ძირამდე მივიდოდა, გზაზედ რავდენჯერმე

დაეცა, ცხვირ-პირი დაიმტვრია, გაისვარა ტალახში და სისხლში, რომელიც ცხვირიდგან წასკდომოდა, მაგრამ მაინც მირბოდა წინ, დიდის ქშენით, პირდაღებული. ვენახებთან რომ მიაწია, უფრო გამოქაჩა თვალები ფრანგების მოსაძებნელად და ამ დროს, უცებ, წააწყდა სამს კაცს, რომელნიც იდგნენ ბაი-რალთან. . ესენი იყვნენ ტურკოსები. მაგრამ ბარტექს ახლა კი აღარ შეშინებია. არა! ის ახლა თვით ეშმაკსაც კი წაავლებდა ხელს რქაში. ისინიც თავის მხრით კიყინით დაეტაკნენ ბარტექს. ორი ხიშტი საცაა დაეტაკება მისს გულს, მაგრამ ჩვენმა ბარტექმა სწრაფად მოაბრუნა თავისი თოფი და კონდახი სდრუხა.

პასუხად მოისმა სულის ამაშფოთებელი ღრიალი და ორი შავი გვამი საცოდავად იკლაკნებოდა მიწაზედ. ამ დროს მესამე ტურკოსს მოეშველა ათი-ოდე ამხანაგი. ბარტექი გაგიჟებულივით ეცა მათ. გავარდა ერთად რამდენიმე თოფი, მაგრამ იმავე წამში თოფის წამლის კომლში გამოისმა ბარტექის ჩახლჩილი ხმა:

— უკაცრავად ბრძანდებით!

ბარტექის მოქნეულმა თოფმა კიდევ გაავლო ჰაერში თავზარ-დამცემი ნახევარი წრე და ამის პასუხად მოისმა ისევ კვნესა. შეშინებულმა ტურკოსებმა დაიხიეს უკან ამ გაგიჟებულის გმირის დანახვაზედ. ამ დროს ბარტექს მოესმა რაღაც არაბული სიტყვა;

ბარტეკს მოეჩვენა, ვითომც ისინი იძახდნენ: მაგ-
და, მაგდა!

— აჰა, მაგდა მოგინდათ თქვენ განა! დაი-
ღრიალა ბარტეკმა და ელვასავით გაჩნდა მტრებში.

მისდა ბედად, ამ დროს მოიბრინეს სხვა ბარ-
ტეკებმა და ვოიტეკებმა მოსაშველებლად და გაი-
მართა შეუპოვარი ბრძოლა; ყველანი გაჩუმებულნი
იყვნენ, მხოლოდ ხანდახან მოისმოდა კენესა და
ხშირ-ხშირი ოხერა.

ბარტეკი ომობდა ათის კაცის ტოლად. მთლად
გაშაფებული კომლისაგან, გასვრილი სისხლით, ბარ-
ტეკი უფრო მხეცს ჰგავდა, ვიდრე კაცს; თოფის
ყოველს მოქნევაზედ პირქვე ამზობდა კაცებს, თო-
ფებს უმსხვრევდა და უტეხდა თავს. მისი ხელები
მოძრაობდნენ გასაოცარის სისწრაფით, მაშინასავით
და აოხრებდნენ ყოველისფერს. მიაწია თუ არა მედ-
როშესთან, ბარტეკი მაშინვე მივარდა და წაუჭირა
ხელები ყელში. მედროშეს თვალები კინაღამ წამო-
სცვივდა, სახე აეცსო სისხლით, ამოიხროტინა და
გააგდო ხელიდგან დროშა.

— ურა! დაიყვირა ბარტეკმა, ამართა დროშა
და ერთი ძალუმად გააქან-გამოაქანია ჰაერში.

აი ამ დროშის მოძრაობა დაინახა შტეინმეცმა
ქვეიდგან. მაგრამ იმან თვალი მოჰკრა დროშას მხო-
ლოდ ერთს წუთს, მიტომ რომ ბარტეკმა თითქმის იმავე
წუთს სთხლიშა დროშის ტარი ერთს სალდათს და

ოქრომკედლით მოქარგული კეპი თავზედ გადააფხრიწა.

ამასობაში ყველა მისი ამხანაგები წინ გაიქცნენ. დარჩა მარტო ბარტეკი. იმან მოაგლიჯა ბაი-რალი ტარს, დაკეცა და ჩაიღო უბეში. თვითონ ტარს მოავლო ორივე ხელები და გამოეკიდა უკან თავის ამხანაგებს.

ტურკოსები, რომელნიც მხეცებივით ბლაოდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, მირბოდნენ ზევით ზარბაზნებისაკენ და მათ უკან მისდევდნენ ვლიტეკები და ბარტეკები ხიშტისა და თოფის კონდახის ცემით. ზარბაზნებთან მყოფი ზუავეები შეხვდნენ მათ თოფის სროლით.

— ურა! დაიყვირა ბარტეკმა

საღდათები მივარდნენ ზარბაზნებთან. დაიწყო ახალი ბრძოლა. იბრძოდნენ მხოლოდ ხიშტებით.

ამასობაში მეორე პოზნანის პოლკი მოეშველა პოლონელებს. დროშის ტარი ბარტეკის ხელში გადაიქცა რაღაც ჯოჯოხეთის იარაღად. ყოველთვის, როცა კი ბარტეკი ამ ტარს მოიქნევდა, მკიდროდ შეერთებულს ფრანგების რაზმში ერთ-ერთი უნდა გამოთხოვებოდა წუთისოფელს. ზუავეებსა და ტურკოსებს შიშის ზარი დაეცათ. ისინი მოშორდნენ იმ ადგილს, სადაც ბარტეკი იბრძოდა. ცოტა ხნის შემდეგ ბარტეკი კიდევ იჯდა ზარბაზანზედ ისე არხეინად, თითქო იარმოში თავის თეთრს ცხენ-

ზედ მჯდარიყოს. სანამ ამხანაგები მოვიდოდენ, ბარტეჟმა მეორე მედროშის მოკვლაც მოასწრო და ახლა სხვა ზარბაზანზედ იჯდა.

— ურა, ბარტეჟ! დაიგრიალეს სალდათებმა.

გამარჯვება იყო სრული. პრუსიელებმა შეიპყრეს ზარბაზნების მსროლელნი, ხოლო გაქცეული ფრანგების ქვეითი ჯარი შეეხალა მეორე პრუსიელების პოლკს და დანებდა ტყვედ. ჩვენმა ბარტეჟმა თავის მხრით წაართვა მტრებს სამი დროშა. უნდა შეგეხედათ მისთვის მაშინ, როდესაც ის დაქანცული, სისხლში გათხუზნული და ოფლად გახეთქილი ხვნეშით ძირს დაეშვა მთიდგან სხვებთან ერთად: ხელში ეკავა ბრძოლის ველზედ ნაშოვნი ალაფი. რას მიქვიან ფრანგი? ამბობდა თითქო მისი პირისახე. მის გვერდით მოდიოდა მთლად დაკაწრული და ხორც-დაგლეჯილი ვოიტეჟი, რომელსაც ბარტეჟმა მიჰმართა შემდეგის სიტყვებით:

— რას სტყუოდი შენ? არავითარი ძალა და ღონე ამ საქმეებს არ ჰქონიათ. ცოტა კი დაგვკანკეს, მაგრამ მეტი ხომ არაფერი? მე კი, საკმაო იყო, თითი დამეწო, რომ მიწაზედ დანარცხებულ იყვნენ.

— ვინ იცოდა, თუ შენ ასეთი გადარეული იყავი? უპასუხა ვოიტეჟმა, რომელიც ხედავდა თავის ამხანაგის სიმამაცეს და რომელიც ახლა სულ სხვა-ნაირად უყურებდა მას. ვინ არ იცის ბარტეჟის

შრომა და ღვაწლი? ყველამ იცის: მთელმა ჯარმა, აფიცრების უმეტესმა ნაწილმა და ისტორიამაც. ყველანი გაკვირვებით უყურებდნენ ამ მოსულს, კოტა-შეჭადარებულს კაცს, რომელსაც თვალები გამოექყიტა. Ach, Sie, verfluchter Polake! (აი, შე დაწყევლილო პოლონელო!) უთხრა მას თვითონ მაიორმა და მოსწია ყური. ბარტეჟმა ამის პასუხად გაუღიმა კეთილის ღიმილით. როდესაც პოლკი ხელახლად დაეწყო მთის ძირში, მაიორმა წარუდგინა ბარტეჟი პოლკოვნიკს, ხოლო პოლკოვნიკმა თვით შტეინმეცს.

სარდალმა დაათვალიერა დროშები და ბძანა მათი წაღება; შემდეგ დაკვირვებით დაუწყო ცქერა ბარტეჟს. ჩვენი ბარტეჟი დგას გაქიმული საყესავით და თოფი გვერდზედ უკავია. გამოცდილი მხედარი-ათვალიერებს მას და თან სიამოვნებით აქნევს თავს. გარკვეულად ისმის სიტყვა: „Unteroffizier“ (უნტერ-აფიცერი).

— Zu dumm, Excellenz! (მეტად სულელია, თქვენო აღმატებულებავ!) მიუგო მაიორმა.

— ვნახოთ! ამბობს მისი აღმატებულება და მიუახლოვდება ბარტეჟს.

თვითონაც არ იცის ბარტეჟმა, თუ რა მოსდის მას. მართლაც არ გაგონილა პრუსიის ჯარში, რომ ღენერალს უბრალო სალდათთან ლაპარაკი გაემართოს. მის აღმატებულებას არ გაუჭირდება ბარ-

ტექთან გამოლაპარაკება, რადგან თვითონ კარგად ესმის პოლონური ენა. ესეც კია, რომ ამ სალდათ-მა წაართვა მტერს სამი ბაირალი და ორი ზარბაზანი.

— სადაური ხარ? ჰკითხავს ღენერალი.

— იარმოელი, მიუგებს ბარტეჟი.

— შენი სახელი?

— ბარტეჟ სლოვიკი.

— Mensch, (კაცი) განმარტებს მაიორი.

— მენშ (კაცი), იმეორებს ბარტეჟი.

— იცი, რატომ ვომები ფრანგებს?

— როგორ არა, ვიცი, თქვენო აღმატებუ-
ლებავ.

— აბა მითხარი!

ბარტეჟმა დაიწყო ბუტბუტი... მიტომ რომ... მიტომ რომ... ამ დროს მისდა ბედად, უცებ გაახ-სენდება ვოიტეჟის სიტყვები და, რომ აღარ გადა-ვიწყებოდა, წამოიძახებს:

— მიტომ რომ ისინი არიან იგივე გერმანელე-ბი, მხოლოდ უსაძაგლესნი.

მის აღმატებულებას ამ სიტყვებზედ ტუჩები აუთამაშდება, თითქო გადახარხარება უნდაო... ამის შემდეგ მისი აღმატებულება მიუბრუნდება მაიორს და ეტყვის:

— თქვენ მართალი ბრძანეთ.

თავის თავის კმაყოფილი ჩვენი ბარტეჟი გამო-ქიმული ღვას.

— ვინ მოიგო დღეს ომში? ჰკითხავს კიდევ ლენერალი.

— მე, თქვენო აღმატებულებავ, მიუგებს შეურყეველად ბარტეჟი.

— დიად, დიად, რასაკვირველია რომ შენ და აი შენი ჯილდოც. მოხუცი მეომარი იხსნის თავის გულიდგან რკინის ჯვარს, დაიხრება დაბლა და თავის ხელით დააბნევს გულზედ ბარტეჟს. მისი აღმატებულება რომ კარგს გუნებაზეა, ეს ეტყობათ მის პოლკოვნიკებს, მაიორებს, კაპიტნებს და უნტერ-აფიცრებს. როდესაც მისი აღმატებულება წაბრძანდა, პოლკოვნიკმა თავის მხრით აჩუქა ბარტეჟს ათი ტალერი, მაიორმა ხუთი და ასე ამგვარად დაასაჩუქრა ბარტეჟი ყველამ. ყველა ეუბნება მას ღიმილით, რომ მან დაამარცხა მტერი. ბედნიერია ბარტეჟი; სიხარულით მიწაზედ ფეხს აღარ ადგავს.

გასაოცარი ამბავია, რომ მხოლოდ ერთად-ერთი ვოიტეჟი არ არის კმაყოფილი ჩვენის გმირისა.

სალამოს, როდესაც ორივე ცეცხლის პირს იხსნენ და ბარტეჟს პირი კუპატივით გამოტენილი ჰქონდა მუხუდოთი, ვოიტეჟმა წყნარად შენიშნა:

— ოჰ, ბარტეჟ, ბარტეჟ, სწორედ რომ სულელი ხარ!

— აბა, რისთვის, ჰკითხავს ჩვენი გმირი და თან ყლაპავს მუხუდოს,

— მაშ, როგორ უთხარი ლენერალს, რომ ფრანგები იგივე გერმანელები არიანო?

— ეს ხომ შენ თვითონ მითხარი!

— კი, მაგრამ ლენერალი და აფიცრები ხომ გერმანელები არიან.

— რაო მერე?

ვოიტეჟი შედგა.

— ყური დამიგდე: თუმცა ისინი გერმანელები არიან, მაგრამ მაინც არ ვარგა მათთან ასე ლაპარაკი, არ არის კარგი...

— მე ხომ ფრანგებზედ ვსთქვი და არა მათზედ.

ვოიტეჟი უეცრად გაჩუმდა. ცხადია, მას უნდოდა აეხსნა ბარტეჟისათვის, რომ გერმანელებთან ისევ მათი ლანძღვა-გინება არ ვარგა, მაგრამ ველარ მოახერხა თავის აზრის გამოთქმა და თავი დაანება.

V.

ამის შემდეგ მალე პრუსიის სახელმწიფო ფოლტამ მოიტანა იარმოში შემდეგის შინაარსის წერილი:

„კურთხეულ არს უფალი ჩვენი იესო ქრისტე და ყოვლად წმინდა მშობელი მისი! უძვირფასესო მაგდა! რა ამბებია თქვენში? შენ კარგად ხარ მანდ ბუმბულში მწოლარი და აქ კი ომში საშინელებაა.

ვიყავით ჩვენ დიდს მეცის ციხესთან, შეიქნა ბრძო-
ლა და ფრანგებს ისე ვხოცდი, რომ მთელი ჯარი
გაკვირვებულნი იყო. ლენერალიც ძალიან მადლო-
ბელი დამრჩა. მითხრა, მტერი შენ დაამარცხეო და
მომცა ჯვარი. ახლა აფიცრები და უნტერ-აფიცრე-
ბი ძალიან პატივს მცემენ და ცხვირ-პირში აღარ
მირტყმენ. შემდეგ ჩვენ წავედით აქედგან სხვაგან,
კიდევ გაიმართა ბრძოლა, — დამავიწყდა რა ერქვა
იმ ქალაქს, — და იქაც ბევრი ფრანგი ამოვსწყვიტე,
წავართვი მტერს მეოთხე დროშა და ერთი კირასი-
რის პოლკოვნიკიც ტყვედ წამოვიყვანე. ერთმა უნ-
ტერ-აფიცერმა მირჩია, ჩვენს პოლკს რომ დაითხოვენ,
დავწერო „რეკლამაცია“ და დავრჩე, მიტომ რომ
ომში მხოლოდ საწოლი არ გვაქვს, თორემ საქმელი
იმოდენია, რავდენიც კი გვინდა და ღვინოც ბევრი
გვაქვს, რადგანაც აქეთ მდიდარი ხალხი ყოფილა.
როდესაც ერთს სოფელს ვწვავდით, მაშინ არც ქა-
ლებს და არც ბავშვებს არავინ ინდობდა და არც
მე ვინდობდი. ეკლესიაც მთლად გადავწვით, მი-
ტომ რომ ისინი კათოლიკეები არიან, და კაცებიც
ბევრი შეიხრაკა. ახლა ჩვენ თვით ფრანგების მეფის
წინააღმდეგ მივდივართ და ამითი კიდევაც გათავდება
ომი. შენ ყური უგდე კარგად ოჯახს, აგრეთვე
ფრანოკსაც, თორემ როცა დავბრუნდები, გვერ-
დებს დაგიზელ. შენ ჯერ კიდევ არ იცი, მე ვინა
ვარ! მშვიდობით! ბართლომე სლოვიკი“.

ბარტეკს ეტყობა, რომ გაუცვნია ომის გემო და ომს უყურებს როგორც ხელობას. ის ახლა ძალიან ენდობოდა თავის თავს და ომში ისე მიდიოდა, როგორც იარმოში მიწის სახნავად. ყოველის ბრძოლის შემდეგ ბარტეკის გულზედ ჩნდებოდნენ ახალ-ახალი მედლები და ორდენები. მართალია, უნტერ-აფიცრობა არ მისცეს, მაგრამ ეს კი იყო, რომ იმან დაიმსახურა უკეთესის სალდათის სახელი. ის, როგორც წინათ, ახლაც ძალიან ემორჩილებოდა დისციპლინას და ისეთს ბრმა სიმამაცეს იჩენდა, რომ არაფითარს საშიშროებაში არ აძლევდა თავის თავს ანგარიშს. ეს სიმხნე ახლა აღარ იყო გამოწვეული გაბრაზებით, როგორც პირველს ბრძოლაში, არამედ დამოკიდებული იყო სალდათურს მიჩვევაზედ და თავის თავის იმედზე. ამასთანავე, შეუპოვარი მისი ფიზიკური ძალა და ღონე იტანდა ყოველ-გვარს გასაჭირს, რომელიც აუცილებელია მეომარის ცხოვრებაში. იმის გარშემო ყველანი მოუძღურდნენ და თვითონ კი ადრინდულად მხნედ იყო; მხოლოდ უფრო განადირდა, გატლანქდა და, რაც დრო მიდიოდა, თანდათან უფრო კარგი სალდათი ხდებოდა. ის ახლა, არა თუ ელექტა ფრანგებს, ეზიზღებოდა კიდევ ისინი. სხვა გრძნობებიც გამოეცვალა მას; იგი შეიქნა სალდათი-პატრიოტი და აღმერთებდა თავის უფროსებს. შემდეგს ბარათში სწერდა მაგდას: „ვოიტეჟი დაგლიჯეს ლუკმა“

ლუკმად, მაგრამ ომს ამიტომაც ჰქვია ომი, გესმის ის სულელი იყო, მიტომ რომ ამბობდა, ფრანგები იგივე გერმანელები არიანო, და მართლა კი— ისინი ფრანგები არიან, ხოლო გერმანელები ჩვენია“.

ამ ორის წერილის პასუხად მაგდამ გაუგზანა თავის ქმარს შემდეგი ბარათი:

„უძვირფასესო ბარტეჟი წმინდა საკუთხეველის წინაშე ეკლესიაში ჩემზე ჯვარ-დაწერილო! ღმერთი დაგსჯის შენის ცოდვებისათვის. შენ თვითონ უღმერთო და სულელი ხარ, როდესაც გერმანელებთან ერთად ქრისტიანს ხალხს ებრძვი. შენ არ გესმის, რომ გერმანელები ლუტერანები არიან, და შენ კი კათოლიკე ხარ და მათ ეხმარები. შენ გინდა ომი, შე მაწანწალავ, მიტომ რომ გინდა ზარმაცობა, სიმთვრალე, ხალხის შეურაცხყოფის მიყენება, მარხვის ქამა და ეკლესიების გადაწვა. ჯოჯობეთშიაც კი დახრაკულხარ შენ ამისთვის! შენ კიდევ თავი მოგწონს იმით, რომ არ იბრალე არც მოხუცებს და არც ბავშვებს. გახსოვდეს, შე ხბოს თავო, თუ რას უბრძანებს პოლონელებს საღმრთო წერილი და ან რა არის დაწერილი ოქროს ასოებით ქვეყნის შექმნილგან ვიდრე მეორედ მოსვლამდე! თავი შეიმაგრე ცოდვებისაგან, შე წყეულო, თორემ კბილებს დაგამტვრევ: გიგზანი ხუთს ტალერს, თუმცა მე ახლა კარგი დღე არ მადგია და ოჯახის საქმეც ცუ-

დად მიდის. ათასს გაკოცებ, ჩემო ძვირფასო ბარტეჟი. მაგდა“.

იმ ზნეობითმა დარიგებამ, რომელიც ამ წერილში იყო, არავითარი ჩაბეჭდილება არ მოახდინა ბარტეჟზედ. წერილის წაკითხვის შემდეგ წაიბუტბუტა: „დედაკაცს სამსახური არ ესმის და ერევა კი მაინც საქმეში“. ბარტეჟი ამის შემდეგაც აღრინდულად ებრძოდა ფრანგებს და ისე მარჯვედ იყო ყოველს ბრძოლაში, რომ მიიქცია ყურადღება შტეინმეცზედ უფრო წარჩინებულის პირებისა. ბოლოს, როცა განახევრებული პოზიანის პოლკები დააბრუნეს თავიანთ სამშობლოში, ბარტეჟმა შეიტანა, უნტერაფიცრის რჩევით, „რეკლამაცია“ და დარჩა ისევ საფრანგეთში. ასე, ამგვარად იმან ამორგო თავი პარისში.

მისი წერილები მაგდასთან ახლა სულ საესე იყო ფრანგებისადმი სიძულილით. „ყოველს ბრძოლაში ფრანგები კურდღელივით მიიპარებიანო“, სწერდა იგი მაგდას და სწერდა მართალს. მაგრამ პარისთან ბრძოლა კი არაფრად მოეწონა ბარტეჟს. ხანდახან მთელი დღე მოუხდებოდა ხოლმე თხრილში წოლა, ზარბაზნების გრიალის სმენა და წვიმაში დასველება. ამასთანავე სწერდა, რომ აღრინდელს თავის პოლკის ამხანაგებს ველარ ხედავდა იმ პოლკში, სადაც ბარტეჟი შერიცხული იყო. ახლა თითქმის სულ მარტო გერმანელები იყვნენ. ცოტ-ცო-

ტათი ახლა კი ლაპარაკობდა ბარტეკი ფრანგულად, მაგრამ არც ისე კარგად, და სულაც ამისთვის უფრო ეძახდნენ მას „polnischer Ochse“ (პოლონელს ხარს) და მხოლოდ ორდენები და მედლები იფარვიდნენ იმას კიდევ ამაზედ უფრო საგრძნობელის ავად მოპყრობისაგან. რავდენისამე შეტაკების შემდეგ ფრანგებთან, აქაც მოიგო მან ამხანაგების პატივისცემა და შეუთვისდა კიდევ მათ. ბოლოს და ბოლოს ბარტეკს მთლად თავისიანად სთვლიდნენ, რადგან იმის წყალობით ჰქონდა სახელი მთელს პოლკს. ძალიან სათაკილოდ ჩასთვლიდა, სხვას ვისმე რომ ეთქვა მისთვის გერმანელი ხარო, მაგრამ ფრანგი რომ მოაგონდებოდა, მაშინ თვითონაც კი უწოდებდა ხოლმე თავის თავს „ein Deutscher“ (გერმანელს). ბარტეკს ეგონა, რომ ეს სულ სხვა იყო და ამასთანავე იმას არ უნდოდა, რომ სხვაზედ უარესი ყოფილიყო. ბარტეკს ერთხელ შეხვდა იმისთანა საქმე, რომელმაც ძალიან დააფიქრა, თუ კი შესაძლებელი იყო; რომ ფიქრს მიეწია იმის გმირულს გონებამდის. ერთხელ იმის პოლკის რამოდენიმე ნაწილი გაგზანეს ნებით გასულის მსროლელების წინაამდევ. ჩაესაფრენ და დაატყვევეს ეს მსროლელები. მაგრამ ახლა კი ვეღარ დაინახა ბარტეკმა ადრინდულად წითელ-ქუდიანი სალდათები, რომელნიც პირველის სროლისათანავე იპარებოდნენ; მითომ რომ ეს მსროლელი რაზმი იყო შემდგარი ვიღაც

უცხო სალდათებისაგან. ყოველის მხრით გზა-შეკრული მსროლელები ისე მამაცურად იბრძოდნენ, რომ ზოგიერთი იმათგანი კიდევ დაუსხლტა ხელიდგან გერმანელებს; მომეტებული ნაწილი ამოიხოცა, რადგანაც ტყვედ დანებება არ უნდოდათ, რაკი კარგად იცოდნენ, თუ რა მოელოდათ გერმანელების ხელში. იმ როტამ, რომელშიაც ბარტეჟი ითვლებოდა, დაიჭირა მხოლოდ ორი ტყვე. სალამოს ტყვეები დაამწყვდიეს ტყის მცველის ქოხში და კარებზედ დააყენეს რამდენიმე ყარაული. მეორედღეს უნდა დაეხვრიტათ ისინი. ბარტეჟს კი უნდა ეყარაულნა ტყვეებისათვის თვით ქოხში. ერთი ამ ტყვეთაგანი ყმაწვილი აღარ იყო, წვერა-ულვაში გაქალარებული ჰქონდა, პირისახეზედ გულ-გრილობა ეტყობოდა. მეორე კი ოცის წლისა თუ იქნებოდა; იმის პირისახე ოდნად იყო შემოსილი წვერა-ულვაშით და უფრო ქალიშვილს ჰგავდა, ვიდრე მხედარს.

— ეჰე, ესეც უკანასკნელი წამი დგება! სთქვა უმცროსმა ტყვემ; თოფი გავარდება და მეც მომეღება ბოლო!

ბარტეჟი ისეთ-ნაირად შეკრთა, რომ თოფი გაუვარდა ხელიდგან: ყმაწვილი კაცი ლაპარაკობდა პოლონურად...

— ჩემთვის სულ ერთია, უპასუხა უნებურად მეორემ: ღმერთმანი, სულ ერთია! დავიღალე ცხოვ-

რებისაგან და დროც არის მოსვენებისა. ბარტეკს სულ უფრო და უფრო დაუწყო გულმა ტოკვა

— გამიგონე! უთხრა კიდევ მოხუცმა,—ხსნა არსაიდგან არ შეიძლება. თუ გეშინია, იფიქრე სხვა რაზედმე, ან და ეცადე, რომ დაიძინო როგორმე. დასწყევლოს ღმერთმა სიცოცხლე! ღმერთს გეფიცები, სულ ერთია!

— დედა მეცოდება! უპასუხა ყმაწვილმა კაცმა. მას უნდოდა, რომ თავის აშფოთება როგორმე გაექარწყლებია, ან და მოეტყუილებინა მანც თავის თავი და ამიტომ მოჰყვა სტვენას, მაგრამ უცებ ისევ წამოიძახა:

— დასწყევლოს ღმერთმა! არც კი გამომშვიდობებივარ.

— მაშ, გამოიქეცი სახლიდგან?

— დიალ, მე ვფიქრობდი, რომ გერმანელებს დაამარცხებდნენ და ჩვენებს შვება მიეცემოდათ.

— მეც აგრე ვფიქრობდი, მაგრამ ახლა...

მოხუცმა ერთი გააქნია ხელები და თავის სათქმელი ისე ხმა-დაბლა დაათავა, რომ მის უკანასკნელის სიტყვების გაგონება აღარ შეიძლებოდა. ღამე ძალიან ციოდა. წვრილი წვიმა უშხაპუნებდა ფანჯრებს წამდაუწუმ. მახლობელს ტყეს სამგლოვიარო ფერი ედვა. ოთახში ყოველის კუთხიდან ჰქროდა ქარი და ბუხარში ღმუოდა ძალღივით.

ფანჯარას ზევით მალლა იყო ჩამოკიდებული

ლამბა, რომ ქარს არ გაექრო და ძალიან მკრთალად ანათებდა ოთახს. მაგრამ ფანჯარასთან მდგომი ბარტეკი ხომ სულ ბნელაში იყო. ეს კიდევ უკეთესი, მიტომ რომ ტყვეები ვერ დაინახავდნენ იმის პირისახეს. გასაოცარი გრძნობები აღელვებდნენ ამ გლეხს. თავდაპირველად ბარტეკი მხოლოდ გაკვირდა; თვალებს ქაჩავდა და სკდილობდა ტყვეების სიტყვები კარგად გაეგო. ისინი მოსულან გერმანელების დასამარცხებლად, რომ ამით პოზნანში მცხოვრების პოლონელებისათვის მდგომარეობა შეემსუბუქებინათ, და თვითონ ბარტეკიც ხომ სწორედ ამისთვის ებრძოდა ფრანგებს!

ამ ტყვეებს ხვალ დახვრეტენ. როგორ უნდა მოიქცეს? ნუ თუ არ გამოელაპარაკოს ამ ტყვეებს? არ უთხრას, რომ ისიც პოლონელია და ეცოდება ისინი. ამ დროს უეცრად რამღაც სული შეეუხუთა. მათი შველა არ შეიძლებოდა. მაშინ ხომ იმას დახვრეტდნენ. ოხ, ღმერთო ჩემო, რა დაემართება მათ? ბარტეკი ძლივს იმაგრებს თავს ადგილზედ; უჩვეულო სტუმარი—სიბრალული ეწვია სალდათის გულს. შინაგანი ხმა ეუბნებოდა: „ბარტეკ, უშველე შენს მემამულეებს, ხომ შენიანები არიან!“ და გულიც მიიწევა სახლისაკენ იარმომში და ურჩევს მას თავი დაანებოს საფრანგეთს, ომსა და ბრძოლას. ახლა კიდევ უფრო გარკვეულად ესმის: „ბარტეკ, უშველე ამ კაცებს!“ ოხ, დასწყევლოს ღმერთმა ეს ომი!

ტყე თანდათან ბნელდება და შრიאלებს სამშობლოს ნახვებივით და ამ შრიალში მოისმის ხმა:

— ბარტეკ, მოეხმარე შენს მემამულეებს.

რა ჰქნას ახლა ბარტეკმა? გაიქცეს მათთან ერთად ტყეში, თუ არა? იმის სულს, პრუსიის დისციპლინით დამონებულს, აშფოთებს ამგვარი აზრი... მომიტყევე უფალო! ის, სალდათი უნდა გაიქცეს? ან არა, არასოდეს! ამასობაში ტყე უფრო და უფრო შრიალებს და ქარიც ღმუის შესაბრალისად.

უფროსმა ტყვემ ხელახლად წამოილაპარაკა:

— ეს ქარის ღმუილი ჩვენს შემოდგომას მაგონებს.

— თავი დამანებე ერთი, მიუგო მეორემ მრისხანედ.

მაგრამ თვითონაც რამოდენჯერმე ზედი-ზედ ერთად გაიმეორა:

— ჩვენში, ჩვენში, ჩვენში!

ღრმა ამოოხვრა უერთდება ქარის ღმუილს და ტყვეები ისევ გაჩუმდებიან.

ბარტეკი ცახცახებს გაცივებულივით. ყოველისფერზედ ცუდი ის არის, როდესაც კაცს არ შეუძლია შეიგნოს, თუ რა მოსდის მას. ბარტეკს არაფერი არ დაუშაგებია, მაგრამ სული ისე ეტანჯება, თითქო რამე მოეპაროს და ეშინია, არ დამიჭირონო. იმას არაფერი საშიშარი არ მოეღის და მაშ რისა ეშინია. ფეხები ბარტეკს აღარ ემოჩნი-

ლება; თოფი დაუმძიმდა და მოსდის ტირილი. ვის სტირის? მაგდას, თუ იარმოს? ერთსაც და მეორესაც; მაგრამ ეს ყმაწვილი ტყვე ისე ებრალება, ისე ებრალება, რომ არ შეუძლიან თავი შეიკავოს. ხანდახან ბარტეკს ეჩვენება, ვითომ სძინავს. ქარი თანდათან მატულობს და ამ შუილში ბარტეკს ესმის რაღაც გასაოცარი ყვირილი და ხმაურობა.

ამ დროს უეცრად თავზედ თითოეული თმა აებუძვება. ბარტეკს ეჩვენება, რომ იქ, სადღაც ტყის სიღრმეში, ვიღაც კვნესის და იმეორებს: „ჩვენში, ჩვენში, ჩვენში!“ ბარტეკი ცახცახმა აიტანა და კონდახი მიწაზედ დაარტყა, რომ გამოღვიძებოდა; თითქო გამოთხიზლდება კიდევ... ტყვეები წვანან კუთხეში, ლამპარი ძლივს ბეუტავს, ქარი ჰქრის, ერთის სიტყვით, ყოველისფერი თავის რიგზეა. ახლა უფრო კარგად მოსჩანს ყმაწვილის ტყვის პირისახე. ნამდვილად ბავშვის, ანუ ქალიშვილის სახეა! მაგრამ თვალები დაუხუქავს, თავი თივაზედ მიუსვენებია, თითქო კიდევ მომკვდარაო. რაც ბარტეკს თავის თავი ახსოვს, არასოდეს ამოდენად არ უგრძვნია სიბრალოელი. ცხადად გრძნობდა, რომ სული ეგუბებოდა და ცრემლები მოსდიოდა. ამ დროს უფროსიტყვე დიდის ვაი-ვაგლახით გადმობრუნდა და წარმოთქვა:

— ღამე ნებისა, ვლადეკ!

დადგა სამარისებური სიჩუმე. გავიდა ერთი საათი; ბარტექს სწორედ არ ემართება რაღაც კეთილი. ქარი ისე სტვენს, რომ იარმოულის ორღანოს ხმას მოაგონებს. ტყვეები წვანან წყნარად; უმცროსი ამ დროს ნელ-ნელა წამოიწევა და დაიძახებს:

— კარლ!

— რაო?

— გძინავს?

— არა...

— გამიგონე! მე მეშინია... რაც გინდა იფიქრე, მე კი ვილოცავ...

— კარგი, ილოცე!

— მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმინდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი...

ამ დროს უეცრად გააწყვეტინებს ტირილი სიტყვას. მაგრამ ტირილშიაც განაგრძობს:

— იყავნ... ნება შენი...

— ოხ, ღმერთო, იესო! ღრიალებს რაღაც ბარტექის გულში. ოხ, ღმერთო!

არა, ის ვერ აიტანს იმდენს ტანჯვას! კიდევ ერთი წუთი და დაიყვირებს: „ბატონო, მეც პოლონელი ვარ!“ მერმე კი ფანჯარაში... ტყეში... მერმე რაც მოხდება, მოხდეს.

ამ დროს დერეფანში მოისმის ნელი ფეხის

ხმა. ეს პატრული და უნტერ-აფიცერი არის! ყარა-
ულები უნდა გამოცვალონ. მეორე დღეს ბარტეჟი
დილიდგან საღამომდის სულ მთვრალი იყო, მესამე
დღესაც მთვრალი ეგდო.

მაგრამ ამის შემდეგ დაიწყო ახალი შეტაკება,
ომი... და ჩემს გმირს დაუდგა სულიერი მყუდროე-
ბა... ეს კია, რომ იმ ღამის შემდეგ ბარტეჟს მეტად
შეუყვარდა ღვინის სმა. სხვებრ, ბრძოლაში ის თი-
თქმის აღრინდელზედ უფრო მხნედ იყო და გამარ-
ჯვების ბედი არასოდეს არ ღალატობდა.

VI.

გავიდა კიდევ რამდენიმე თვე. მოახლოვდა ზაფ-
ხული. იარმოში აღუ-ბალი ჰყვავოდა და მინდვრები
იმოსებოდნენ პურის მწვანე ჯეჯილით. ერთხელ
მაგდა იჯდა თავის სახლის დერეფანში და სთლიდა
სადილისთვის კარტოფილს. ახალს მოსავლამდის კი-
დევ კარგი ხანი რჩებოდა და ამიტომ იარმოში ხალ-
ხი ძალიან გაჭირვებულად ცხოვრობდა. ეს კარვად
ეტყობოდა მაგდას გამხდარსა და შეწუხებულს პირი-
სახესაც. სწორედ მწუხარების მოსაქარვებლად, ეს
დედა-კაცი თვალეზ-მინაბული წვრილის ხმით ღი-
ლინებდა. ჩიტებს დაჟინებით გააქვსთ ჩქვივ-ჟი-
ვი, თითქო უნდათ მაგდას გადააქარბონ სიმღერა-
ში, მაგრამ მაგდა სიმღერას მაინც განაგრძობს

და თან შესცქერის ხან ძალღს, რომელიც თბება. იქვე მზებზე, ხან შარა გზას და ხან ბილიკს, რომელიც ბოსტნიდგან და ყანებიდგან გამოდის შარა გზისაკენ. შეიძლება უფრო ბილიკს მისცქეროდა, რადგან ის პირდაპირ სტანციისაკენ მიდიოდა. ღვთის მადლით, იმ დღეს მაგდა ტყუილ-უბრალოდ არ იყურებოდა ბილიკისაკენ. შორს აჩრდილივით ვილაკა გამოჩნდა: დედა-კაცმა მოიჩრდილა თვალებზედ ხელით, მაგრამ მაინც ვერ გამოიცილა ვინ მოდიოდა, რადგან მზის ბრწყინვალე სხივებმა აუჭრიალა თვალები. არაბკას გამოეღვიძა, წამოსწია თავი, ერთი კარგად გაიზმორა, გამოცქვიტა ყურები და დაიწყო აქეთ-იქით ყურება. ამავ დროს მაგდას მოესმა განურჩეველი სიმღერის ხმა, არაბკა უეცრად წამოხტა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაიქცა, რომ შეხვედროდა მას, ვინც თან-და-თან უახლოვდებოდა მაგდას. აქ მაგდა ცოტათი არ იყოს გაფითრდა.

— ბარტეჟი არის ვითომ?

წამოდგა ისეთის სიჩქარით, რომ კარტოფილიანი გობი გადააბრუნა. იქვე აღარ იყო ახლა. არაბკა ეთამაშება და ახტება მომავალს კაცს გულზედ. დედა-კაცი გაიქცა შესახვედრად და დაიყვირა სიხარულისაგან:

— ბარტეჟი! ბარტეჟი!

— მაგდა, მე ვარ, მე! მიუგო მან და მოუმატა

ნაბიჯს. ბარტეკმა გაალო ქიშკარი, გადმოჰკრა მკლავი ურდულს და კინალამ დაეცა. ცოლ-ქმარი ერთმანეთს გადაეხვივნენ. მაგდა მოჰყვა ლაქლაქს:

— მე კი მეგონა, რომ შენ აღარ დაბრუნდებოდი. ფიქრობდი, სწორედ მოჰკლეს მეთქი... ოჰ, შემახედე ერთი შენს თავს! შემახედე ერთი შენთვის! ოხ, ღმერთო, როგორ გამხდარხარი ჩემო ჩურჩუტო! დამიბრუნდა, დამიბრუნდა!

მაგდა ხან მოაშორებდა ხელს მის კისერს და შეს-
ტყეროდა თვალებში, ხან ხელახლავ მოეხვეოდა.

— დაბრუნდი დიდება შენდა უფალო! ჩემო გვერიტო! რას გაჩერებულხარ? შევიდეთ სახლში! ფრანიოკი სკოლაში სწავლობს. გერმანელი აწვალეებს ბავშვებს, მაგრამ ყმაწვილი ძალიან ჯან-მრთელია, მხოლოდ ისრეთივე თვალ-ჰყეცია არის, როგორც შენ. ოჰ, ღროც იყო შენის მობრუნებისა. აღარ ვიციოდი, რა მექნა. უბედურობაა, სწორედ უბედურობა! სახლი ინგრევა, ბოსელში წვიმა ჩადის. შენ რასა იქ? ოჰ, ბარტეკ! კიდევ გხედავს ჩემი თვალე-
ბი! რავდენი შრომა მომივიდა კოლინდრის მოთიბვაზედ. მეზობლები, ღმერთმა უშველოსთ, მომეხმარნენ. სხვა, შენ ხომ კარგად ხარ? აი სასიამოვნო ამბავი! ღმერთმა დაგიფარა შენ. შევიდეთ სახლში. ღმერთო! ბარტეკიცაა და ვითომც არც არის, რა დაგემართა? წმინდაო დედავ ღვთისაო!

მაგდამ მხოლოდ ახლა შეამჩნია ბარტეკს სა-

ხეზედ ქრილობა, რომელიც მარცხენა საფეთქლიდ-
გან და ლოყიდგან მთლად ნიკაპამდის ჩაჰყოლოდა.

— არაფერია... კირასირი შემხვდა, მაგრამ მეც
მაგიერი გავატანე. ლაზარეთშიაც ვიწექი.

— ოჰ, ღმერთო, ღმერთო!

— ეჰ, უბრალო რამეა.

— უჰ, რა გამხდარი ხარ!

— Ruhig! (ჩუმათ) შეუტია ბარტეჟმა.

ბარტეჟი მართლა რომ გამხდარი იყო, ტანი-
სამოს-დაფლეთილი და გაშავებული. სწორედ რომ
ნამდვილი გამარჯვებული, ძღვევამოსილი გმირი ამას
თანავე ბარბაცობდა კიდევ.

— მთერალი ხომ არა ხარ?

— რას მიჰქარავ... სუსტად ვარ მხოლოდ.

ბარტეჟი, მართლაც, ჯერ კიდევ არ იყო
მთლად მორჩენილი, მაგრამ თავშიაც კი უჩუჩუნებ-
და, მიტომ რომ ავადმყოფობის შემდეგ ერთი სტა-
ქანი არაყიც კი ათრობდა და მან კი საღვურზედ
ოთხი მაინც გადაჰკრა. ამიტომ ბარტეჟი იმ დღეს
დამლა-დაცემულს ჰგავდა და შეხედულობა ჰქონდა
ნამდვილის გამარჯვებულის გმირისა. აგრეთი შეხე-
დულობა მას წინათ არასოდეს არ ჰქონია.

— Ruhig! (ჩუმათ) გაიმეორა მან. Krieg (ომი)
გათავდა. ახლა მე ბატონი ვარ, გესმის? აჰ შემომ-
ხედე! უთხრა და თან მიუთითა თავის ჯვრებზედ და
მედლებზედ. იცი ეს რა არის, ჰა? Links! rechts!

Heul Strohl halt! (მარცხნით! მარჯვენით! თივა!
ჩალა! გაჩერდი!)

უკანასკნელი სიტყვა ისე შეტევით წამოთქვა,
რომ მაგდამ რამოდენსამე ნაბიჯზედ უკან დაიწია.

— ნუ თუ შეიშალე ჭკუიდგან!

— როგორ ცხოვრობ, მაგდა? იცი ფრანგულ-
ლი, სულელო?.. მუსიუ, მუსიუ! ვინ არის მუსიუ?
მე ვარ მუსიუ. გესმის?

— კაცო, რა დაგმართნია?

— შენ რაო? Was? Donne diner! გესმის?

მაგდას შუბლზედ ეტყობოდა, რომ ჭეჭა-ქუხილს
მალე დაიწყებდა.

— რა ენაზედ ყბედობ? დაგავიწყდა პოლონუ-
რი, თუ რა არის?

— პური მაჭამე!

— კარგი, წამოდი სახლში!

ყოველი ბძანება ბარტექზედ რალაც განსხვა-
ვებულად მოქმედებდა. ბარტექმა რომ სიტყვა „წა-
მოდი!“ გაიგონა, წელში გაიმართა, ხელები ძირს
დაუშვა, გამოიქიმა, შემოტრიალდა ერთი და წავი-
და სახლისაკენ. მხოლოდ კარის ღირეზედ მო-
ვიდა გონს და გაკვირვებულმა დაუწყო ცქერა
მაგდას.

— ჰა, მაგდა, როგორა ხარ?

— გასწი!

ბარტექი დაემორჩილა, მაგრამ კარებზედ წაი-

ბორძიკა და დაეცა. იმას მთლად მოერია სიმთვრალე, დაიწყო სიმღერა და თან ფრონიოკს ეძებდა თვალებით; კიდევ წარმოსთქვა: *Morgen, Kerll* (დილა მშვიდობისა, ბიკო!) თუმცა ფრანიოკი არ იყო სახლში. შემდეგ გაღიხარხარა, გადაადგა ჯერ ერთი დიდი ნაბიჯი, მერე ორი პატარა, დაიყვირა: ურა! და გაიშხლართა ტახტზედ. საღამოს რომ გამოეღვიძა, სრულიად გამოთხიზლებული იყო და გამხნევებული; მიესალმა ფრანიოკს, რამოდენიმე პფენინგი*) გამოართვა მაგდას და გაემგზავრა სამიკიტნოსკენ. მისი გამარჯვების ამბავი მოტენილი იყო იმ სოფელში იმის მოსვლამდე. ამიტომ, როგორც კი შეიტყეს ბარტეჟი სამიკიტნოში არისო, მაშინვე თითქმის ყველა იქით გაეშურა, რომ ენახათ გმირი ბარტეჟი. ზის ჩვენი ბარტეჟი სტოლთან, — იმას ახლა ვერავინ სცნობს. წინად ბარტეჟი ისეთი წყნარი და მშვიდობიანი იყო, ახლა კი ყოველს წუთში სტოლს ურტყამს მუშტს, ყვინჩილობს და ქოთავს მამალი ინდოურივით.

— ხომ იცით, ძმებო, როგორ ვეღვეტდი ფრანგებს? რა თქვა შტეინმეცმა?

— როგორ არ ვიცით!

— ბევრს ლაპარაკობდნენ ფრანგებზედ, გვა-

*) პფენინგი--გერმანული ფულია, უდრის ნახევარ კაპეიკს.

შინებდნენ და თურმე ისეთი უღონო ხალხი ყოფილა! Was? კურდღელივით ბალახს სჭამენ და კურდღელივითაც ემალებიან მტერს. ლუდს არ სმენ და ღვინოს კი ყლაპავენ.

— მართლა!

— როდესაც ჩვენ ვსწვავდით სოფლებს, ისინი გვიყვიროდნენ: *pitié, pitie!* ეს ნიშნავდა, რომ თუ კი ჩვენ შევიბრალებდით, ისინი ღვინოს დაგვალევენებდნენ. მაგრამ ჩვენ ყურს არ ვუგდებდით.

— შეიძლება მერე გაიგოს კაცმა, რასაც ისინი ლაპარაკობენ? ჰკითხა რომელმალაც ყმაწვილმა.

— შენ ვერ გაიგებ, მიტომ რომ სულელი ხარ, თორემ მე როგორ ვერ გავიგებდი. დონე დიპენ (პური მომაწოდე) გესმის? პარისი გინახავთ? აი თუ იტყვი, ბრძოლა სად იყო! მაგრამ ჩვენ კი ყოველთვის ვამარცხებდით. ფრანგებს ნამდვილი კამანდა არა აქვთ. ამბობენ, რომ იმათ აფიცრებიც და ღენერლებიც უვარგისნი ჰყავთო. ჩვენ კი კარგები გვყვანან.

ქკვიანმა და მოხუცმა გლეხმა მათემ გაიქნია თავი და წარმოსთქვა:

— დიად, გერმანელებმა საშინელს ომში გაიმარჯვეს და ჩვენც იმათ ვეხმარებოდით. გვექნება ჩვენ რამე სარგებლობა აქედგან, თუ არა, — ერთმა ღმერთმა იცის.

— ბარტეჟმა გამოუქაჩა თვალები მათეს.

— რას მიჰქარავ?

— გერმანელებს ჩვენ ისედაც ვძულდით და ახლა ხომ სულ აგვიბზუებენ ცხვირს, თითქო ცა ქუდათ ჰქონდეთ და მიწა ქალამნად, და კიდევ უფრო დაგვიწყებენ დევნას.

— ძალიან ტყუილს ამბობ! წამოიყვირა ბარტეჰმა.

მათეს სიტყვას ისე იჯერებდნენ იარმოში, რომ მისი ჰკუთით აზროვნებდა მთელი სოფელი და არავის შეეძლო მისი სიტყვის შებრუნება; ახლა ბარტეჰი გამარჯვებული იყო და ავტორიტეტიც ის შეიქნა.

მაგრამ მაინც ყველამ შეხედა იმას გაკვირვებით და უსიამოვნოდ.

- როგორ, მათეს გინდა შენ გამოეკამათო?

— ჩემთვის რაა მათე? განა მაგისთანა კაცებთან მილაპარაკნია მე, გესმის? არ მილაპარაკნია მე შტეინმეტთან თუ? Was? სტყუის მათე! აწი ჩვენ უფრო უკეთესს ყოფაში ვიქნებით.

— ოჰ, შე ბრიყვო! თქვა მათემ.

ბარტეჰმა ისე ღონიერად დაარტყა სტოლს მუშტი, რომ ყველა სტაქნები გარაწკუნდნენ.

— Still, Kerl! Heu, Stroh!.. (ჩუმათ, ბიქოი თივა, ჩალა!)..

— ჩუმად იყავ, ნუ ყვირი ჰკითხე ბატონს ან მოძღვარს.

— მღვდელი როდის იყო ომში? არც ბატონი

ყოფილა და მე კი ვიყავი. არ დაუჯეროთ ამას, ძმებო! აწი გერმანელები კარგად მოგვექცევინან. ვინ მოიგო ომში? ჩვენ მოვიგეთ, მე მოვიგე. რასაც კი ვითხოვ, იმას მომცემენ. რომ მნდომოდა საფრანგეთში დარჩენა, დავრჩებოდი. მართებლობამ იცის, თუ ვინ დაამარცხა ფრანგები. ჩვენი პოლკი იყო ყველაზედ უფრო წარჩინებული. ასეა მოხსენებული ბრძანებაშიაც. ახლა პოლონელები დიდი ვინშეები ვართ, გესმით?

მათემ გააქნია ხელი, ადგა და წავიდა. ბარტეჟმა გაიმარჯვა აქაც, პოლიტიკაში სამიკიტნოში დარჩენილმა ყმაწვილებმა იცნეს ბარტეჟი ავტორიტეტად. ბარტეჟმა განაგრძო:

— რასაც კი მოვისურვებ, ყველაფერს მომცემენ. მე რომ არ ვყოფილვიყავ, რით გათავდებოდა ომი? მოხუცი სულელია, გესმით? მართებლობა ბრძანებს ფრანგების ამოჟლეტას, მეც არავის დავინდობ! ვის შეუძლია, პატივი არ მცეს? გერმანელს? მაშე ეს რაა?— მიიშვირა თითი ჯვრებსა და მედლებზედ.— რატომ ვხოცავდი მე ფრანგებს? გერმანელებისათვის, არა? მე ახლა ყოველს გერმანელზე უკეთესი ვარ, მისთვის რომ არავისა აქვს ამოდენი ორდენები, რამდენიც მე მაქვს. მოიტათ ლუდი! მე შტეინმეცთანაც კი მილაპარაკნია და პოდბელსკისთანაც. ლუდი მომიტანეთ მეთქი.

გაიმართა სმა. ბარტეჟმა სიმღერა დაიწყო:

Trinkt, trinkt, trinkt!
Wenn in meiner Tasche
Noch ein Thaler klingt!

ამოიღო ჯიბიდან ერთი მუქა შავი ფული და დაიძახა:

— წაიღეთ! მე ახლა ბატონი ვარ... არ გინდათ? ოჰ, ბევრი ამისთანა ფული მინახავს საფრანგეთში, მაგრამ დაეხარჯე! განა ცოტა სოფლები გადავსწვით, ცოტა კაცები დავხოცეთ... ოჰ, ფრანგების ოხტში კი ამოვედი...

მაგრამ აქ მოულოდნელად ბარტეჟმა მოხვეტა ისევ გაფანტული შავი ფული სტოლიდგან და შეწუხებულის ხმით წამოიძახა:

— ღმერთო, შემიწყალე მე ცოდვილი!

შემდეგ დაეყრდნო იდაყვებზედ, ორივე ხელი მიიფარა პირზედ და გაჩუმდა.

— რა დაგემართა? ჰკითხა ერთმა მთვრალმა ყმაწვილთაგანმა.

— მე არა ვარ დამნაშავე, — გაუგებლად ბუტბუტებდა ბარტეჟი. — თვითონ გვეჩხირებოდნენ. მე ბრალეობდნენ ისინი, მისთვის რომ ჩვენები იყვნენ, მაგრამ... ოხ, ღმერთო, ღმერთო! ერთი სწორედ რომ ანგელოზი იყო. მეორე ღღეს გაფითრებული იყო, როგორც ტილო. მერმე ისინი ცოცხლად დამარხეს... არაყი!

ჩამოვარდა სიჩუმე. გლეხები გაკვირვებულნი უყურებდნენ ერთმანერთს.

— რას ლაპარაკობს? იკითხა ვილაცამ.

— ასე, თავის თავს ელაპარაკება.

— აი ამიტომ ვსვამ ახლად, წამოიღულულუ-
ლა ბარტეჟმა. გადაჰკრა ერთი სტაქანი არა-
ყი, გადაჰკრა მეორე. ერთს წუთს გაჩუმდა,
მერმე გაათურთხა და ერთბაშად ისევ გამხია-
რულდა.

— თქვენ გილაპარაკნიათ შტეინმეცთან? არ
გილაპარაკნიათ! ურა! დალიეთ! ვინ გადიხდის? მე
გადვიხდი!

— დიად, შენ გადიხდი, შე ლოთო, შენა!
— მოისმა მაგდას ხმა. — მაგრამ კარგი, მეც გადავიხ-
დი. დამაცა მე შენ!

ბარტეჟი მიაცქერდა მაგდას გამოშტერებული,
თითქო შუშის თვალები ჰქონდესო.

— შტეინმეცთან გილაპარაკნია? შენ ვინ
ხარ?

მაგდამ იმას აღარა უპასუხა რა. მიუბრუნდა
სხვებს და დაიწყო ხმა-მაღლა ლაპარაკი:

— ოჰ, კეთილო ადამიანებო, ხედავთ ჩემს სირ-
ცხვილს, ჩემს დამწვარს ბედს! დაბრუნდა შინ, გა-
ვიხარე მაგის მოსვლით, როგორც კარგის კაცის
მოსვლით, და ეგ კი მთვრალი იყო. ღმერთიც და-
ვიწყებია და პოლონურიც. დაწვა მაშინვე დასაძი-
ნებლად, გამოთხიზლდა, ახლა კიდევ ლოთობს და
სქამს ჩემს მამასისხლად ნაშოვნს ფულს. სად გაქვს

შენ ფული? მე მოვიპოვე ტანჯვა-წვალებით, ვაი-
ვაგლახით, სისხლის ოფლით. ღმერთმანი, ეს არც
კათოლიკეა და არც კაცი... წყეული გერმანე-
ლია. ლაქლაქობს გერმანულად. ეგ ღვთის წინააღმ-
დეგია, არაწმინდა სულია!

აქ მაგდამ დაიწყო ცხარე ცრემლით ტირილი
და მერმე აიმაღლა ხმა:

— ბრიყვი წინათაც კი იყო, მაგრამ კეთილიც
იყო და ახლა რა უქნიათ მაგისტვის! მოველოდი
დილით, მოველოდი საღამოთი და აი რას მოვესწარი!
ჩემთვის არც ნუგეშია, არც მხიარულობა... ყოვლის
შემძღვებლო ღმერთო, ღმერთო სულგრძელო!..
ბარემც გასულელებულხარ სულ და სამუდამოთ გერ-
მანელად გადაქცეულხარ!

უკანასკნელი სიტყვა წარმოსთქვა კბილ-დაჭე-
რით, საწყლად, ისე რომ შეგვეცოდებოდათ სწო-
რედ. ბარტეჟმა უპასუხა:

— გაჩუმდი, თორემ თუ ხელი მოგკიდე!

— ჰო, აბა დამარტყი, მომჭერ თავი, მომ-
კალი! ყვიროდა გარისხებულის ხმით დედაკაცი და
უშვერდა კისერს; ამასთან მიუბრუნდა სხვებს და
უთხრა:

— თქვენ კი უყურეთ!

მაგრამ გლეხები გალაგდნენ ყველანი ერთი მე-
ორის შემდეგ.

მალე სამიკიტნო სულ დაცალიერდა; დარჩა

მხოლოდ ბარტეკი და მისი ცოლი კისერ-წაშვე-
რილი.

— რას წამოგიწვდია კისერი ბატყით?— დაუ-
ჯიჯლინა ბარტეკმა.— წადი სახლში.

— მომქერ რალა, უმეორებდა დედაკაცი.

— ხელსაც არ გახლებ, ჰო, რა გინდა, მიუ-
გო ბარტეკმა და ჩაიყო ჯიბეში ხელი.

მიკიტანს უნდოდა, ეს აყალ-მაყალი მალე გა-
ეთაფებინათ და გააქრო სანთელი. ოთახში დაბნელ-
და. ერთის წამის შემდეგ მოისმა მაგდას წრიპინა ხმა:

— მომკალ რალა!

— არ მოგკლავ, არა, დინჯად გაიმეორა ბარ-
ტეკმა.

მთვარის სინათლეში გამოჩნდა ორი ნაკე-
თი, რომელნიც მიდიოდნენ სამიკიტნოდგან სოფელ-
ში. ერთი მათგანი წრიპინით ლაპარაკობდა: ეგ იყო
მაგდა. იმას თავ-ჩალუნული მიჰყვებოდა გრაველო-
ტისა და სედანის გმირი.

VI

ომმა ისე დაასუსტა ბარტეკი, რომ რამდენსამე
ხანს მუშაობა აღარ შეეძლო. ეს დიდი უბედურობა
იყო მისის ოჯახისათვის, რომელსაც ძალიან უჭი-
რდა მამაკაცის შემწეობა. მაგდა თავს არ იზო-
გავდა და დატრიალობდა ოჯახში, როგორც კი შე-

ეძლო. მუშაობდა დილიდგან საღამომდის; მეზობლებიც ხელს უწყობდნენ, მაგრამ ოჯახი მაინც თანდათან იღუპებოდა. დასჭირდათ ვალის აღება და აიღეს კიდევ ერთის ჩამოსახლებულის გერმანელისაგან. ამ გერმანელს, იუსტს, ერთს ღროს ეყიდნა იარმოში რამოდენიმე უვარგისი ადგილი და ახლა ჰქონდა საუკეთესო ოჯახობა მთელს იმ სოფელში; მოითბო ხელი, ფულიც კარგა ძალი შეაგროვა და ასესხებდა ურიულის სარგებლით. სესხად აძლევდა განსაკუთრებით ადგილობრივს მებატონეს, იარჟინსკის, რომლის გვარიც ჩაწერილი იყო „ოქროს წიგნში“ და რომელიც მხოლოდ მისთვის იყო ვალდებული მდიდრულად ეცხოვრა, რომ თავის ოჯახისათვის დიდების სახელი არ მოეკლო. იუსტი უმართავდა ფულით ხელს გლეხებსაც. აგერ გადის ნახევარი წელიწადი, რაც მაგდას მართებს მისი რამოდენიმე თუმანი, რომელიც ზოგი ოჯახში მოიხმარა და ზოგი კი ბარტექს გაუგზანა ომიანობის ღროს. ეს მაინცა და მაინც დიდი არაფერია; ღმერთი კარგს მოსავალს მისცემს და შეიძლება. გაღიხადონ, თუ კი იმუშავეს, როგორც რიგია, მაგრამ მათდა საუბედუროდ, ბარტექს მუშაობა არ შეეძლო. მაგდას ეს არ სჯეროდა და ხშირად დადიოდა მღვდელთან იმის საკითხავად, თუ რა ნაირად მოერჯულებინა თავისი ქმარი. მაგდას ექვი ტყუილი იყო. ბარტექს მართლა არ შეეძლო მუშაობა.

ცოტა მუშაობის შემდეგ ყოველთვის წელი უწყებდა ტკივილს და სულის ამოთქმა უჭირდებოდა. ამისათვის მთელი დღე იჯდა თავის სახლის დერეფანში ცუდად და სწევდა ფარფორის ჩიბუხს, რომელზედაც გამოხატული იყო ბისმარკი კირასირის ტანისამოსით და თავზედ კასკით. ბარტეკი გაჰყურებდა ღვთის გაჩენილს ქვეყანას ისეთნაირად, თითქო მოსვენება ეჭირვებოდა. ამ დროს იგი ჰფიქრობდა ცოტას ომზედაც, ცოტას თავის გამარჯვებაზედაც, ერთის სიტყვით, ყოველისფერზედ და, მართალი რომ ვთქვათ კი, არაფერზედ.

ერთხელ, როდესაც იგი იჯდა ასე თავისთვის ტყუილ-უბრალოდ, უეცრად მოესმა შორიდგან ფრანიოკის ტირილი. ფრანიოკი სკოლიდგან მოდიოდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ღრიალებდა და მღულარე კრემლებს ჰყრიდა, ბარტეკმა გამოიღო პირიდგან ჩიბუხი.

— ფრანიოკ, რა დაგმართნია?

— რა და! დაიწყო ფრანიოკმა, მაგრამ ტირილმა ხმა ჩააწყვეტინა

— რა გატირებს?

— მაშ რა ვქნა, როდესაც ცხვირ-პირი დამამტვრიეს.

— ვინა?

— ვინა და, ბატონმა ბიოგემ.

ბატონი ბიოგე ასრულებდა სკოლის მასწავ-
ლებლის თანამდებობას იარმოში.

— მერე, რა ნება აქვს მას, რომ გცემოს?

— რა ვიცი, რა ნება აქვს!

მაგდამ, რომელიც ბოსტანში კარტოფილს
სთხრიდა, გადმოაბიჯა ლობეზედ და ბართ ხელში
მიუახლოვდა ფრანოკს.

— რა დააშავე სამაგისო? ჰკითხა მან.

— მე რას დავაშავებდი! ბატონმა ბიოგემ გამ-
ლანძლა. პოლონელი ლორი ხარო, მითხრა და მცე-
მა ცხვირ-პირში. ასე თქვა, ჩვენ გერმანელებმა ახ-
ლა ფრანგები დ ვამარცხეთო და რაც გვინდა, იმას
გიზამთო. მე თვითონ მისთვის არაფერი დამი-
შავებია. მან მკითხა მხოლოდ: მთელს დედამიწაზედ
ვინ უფრო დიდი კაციაო. მე ვუთხარი, წმინდა
მამა რომის პაპი მეთქი, და იმან დამიწყო ცხვირ-
პირში ცემა. მე დავიწყე ყვირილი, და იმან გამლანძ-
ლა. დამიძახა, პოლონელი ლორი ხარო და სთქვა,
ჩვენ ფრანგები დავამარცხეთო...

ფრანოკმა ვერას გზით ვერ გამოაწყო ეს ამ-
ბავი; სულ იმეორებდა: „მე იმას ვუთხარი და იმან
მე მითხრა“, სანამ ბოლოს მაგდამ არ დააფარა
პირზედ ხელები. ქმარს კი მიუბრუნდა ყვირილით:

— ხომ კარგად გესმის? წადი ახლა და ეომე
ფრანგებს, გერმანელმა კი შეიღოს გიცემოს, როგორც
ძალღს, დაუძახოს ლორი. გასწი რალა ომში! შეაბ-

მა (გერმანელმა) მოგიკლას შვილი... ეს არის შენი ჯილდო!

აქ მაგდამ თვითონ დაიწყო მწარე კრემლით ტირილი; ბარტეჟმა კი გამოქაჩა თვალები, დაალოხახა და ისე გამოშტერებული იდგა, რომ ერთის სიტყვის თქმაც ვეღარ მოახერხა. იმას სრულიად აღარა ესმოდა რა. ეს რა ამბავია? სადაა მისი გამარჯვება? რამდენსამე წუთს კიდევ იჯდა ჩუმად, მაგრამ შემდეგ თვალებმა გაუელვა, სისხლი აუვარდა თავში. წამოხტა უცებ და გაბრაზებულმა წაიდუღუნა:

— მე ვიცი და იმან!

ეს თქვა და წავიდა. სკოლა იქვე იყო ეკლესიასთან. ბიოგე ბალკონ წინ იდგა და გარშემოხვეოდნენ გოქები, რომელთაც ფინჩხას უყრიდა. ბიოგე იყო მოსული კაცი, ასე ორმოცდაათის წლისა, მუხნასავით ჩამჯდარი. თუმც სიმსუქნისაგან ცხვირპირი აღარ უჩნდა, მაგრამ იმისი ამოკუსული თვალები ამტკიცებდნენ ხასიათის სიმტკიცეს და ენერგიას.

ბარტეჟი ახლოს მივიდა მასთან.

— შენ რატომ სცემე ჩემს ბავშვს? ჰა? ჰკითხა მან.

ბიოგემ რამდენისამე ნაბიჯით უკან დაიწია, გაზომა თვალით ბარტეჟი და აუღელვებლად წარმოსთქვა:

— იქით, შე საძაგელო!

— რისთვის სცემე ბავშვს? გაუმეორა ბარტექმა..

— შენცა გცემ, შე გლახაკო! ჩვენ გიჩვენებთ თქვენ, თუ ვინ არის ახლა აქ ბატონი. გამეცალე იქით... წადი სასამართლოში და მიჩივლე! გამეცალე იქით-მეთქი...

ბარტექმა წაავლო მასწავლებელს ხელი მკლავში და დაიყვირა ხრინწიანის ხმით:

— იცი თუ არა, მე ვინა ვარ? იცი თუ არა, ვინ ეომა ფრანგებს!? იცი, ვინ ელაპარაკებოდა შტეინმეცს? რატომ სცემ ბავშვს, შე საძაგელო?

თვალეზი წამოვარდნაზედ ჰქონდა ბიოგეს. ბიოგეს ღონე მოსდევდა და ამიტომ გადასწყვიტა ერთის მუშტის დაკვრით გათავისუფლებულიყო. ბარტექისაგან.

იმავე წუთში ჩვენმა გრაველოტისა და სედანის გმირმა მიიღო ძალზედ საგრძნობელი სილა. ბარტექმა ველარ შეიკავა თავი. ელვის სისწრაფით მივარდა ბიოგეს და გასცხო და გამოსცხო. ბიოგე დაუჯერებელის სისწრაფით ხან ერთს მხარეზე წაბარბაცდებოდა, ხან მეორეზე. გამოიღვიძა ტურკოსებისა და ზუავების საოცარმა მძლეველმა ბარტექმა. ოცის წლის ყმაწვილმა ოსკარმა, ბიოგეს შევიღმა, ამაოდ მოუმატა ნაბიჯს მამა მისის მისაშველებლად. გაიმართა ბრძოლა. შევილი მიწაზედ გაიშხლართა და მამამ იგრძნო, რომ ის სადღაც

მიჭტრინავდა. მისდა საუბედუროდ, იქვე სკოლის ახლო იდგა ბოჩკა, რომელშიაც ბიოგეს ცოლი ასხამდა ნარეცხს ლორებისათვის; აი მოისმა შხაპუნის და ბიოგემ ბოჩკაში გაადინა ბრეგა. ფეხები-ლა მოჩანდა. ამ დროს ბიოგეს ცოლი გამოვარდა სახლიდგან და გააბა ყვირილი; „არიქა, გვიშველეთ!“ და სწრაფად წააქცია ბოჩკა.

ამ ყვირილზედ სახლებიდგან გამოცვინდნენ გერმანელი კოლონისტები თავის ქვეყნის შეილის მისაშველებლად. ათამდის კაცი ეცა ბარტექს და დაუწყეს ცემა, ვინ მუშტებით და ვინ ჯოხით. გაიმართა ერთი უშველებელი ჩხუბი. ამ შეტაკებაში ძნელი იყო ბარტექის გამორჩევა სხვებისგან. უცებ ჯგუფიდგან გამოხტა ბარტექი და გაგოყებულებით გაექანა ლობისაკენ. გერმანელები გამოედევნენ უკან, მაგრამ ბარტექმა, თვალის დახამხამების უმაღლ, მოგლიჯა ლობიდგან უშველებელი მარგილი და გაჩერდა. კოლონისტებმა უკან დაიწიეს. ახლა თვითონ ბარტექი გამოეკიდა მათ; მის იღბლად ვერავის დაეწია და, როგორც კი გონზედ მოვიდა, თავის სახლისკენ წამოვიდა. ოხ; ახლა რომ ფრანგებთან ჰქონოდა მას საქმე! მაშინ იმის გმირულს თავისდაცვას უკვდავად გახდიდა ისტორია. შინისკენ გამობრუნებულს გერმანელები, ოცამდის კაცი, კიდევ გამოედევნენ. ბარტექმა ეს რო შენიშნა, ნელ-ნელა იწყო სიარული. ხანდა-ხან შეჩერდებოდა ხოლმე, მაშინ მღვეარნიც შე-

ჩერდებოდენ ხოლმე. ვეებერთელა კეტი, ცოტა არ იყოს, აფიქრებდა კოლონისტებს.

გერმანელებმა დაუწყეს ბარტეკს ქვების სროლა; ერთი ქვა მოხვდა ბარტეკს პირ-და-პირ შუბლში. კრილობისაგან სისხლი გადმოსდიოდა და გამოხედვას უშლიდა. ბარტეკი გრძნობდა, რომ სუსტდებოდა, ერთი წაბარბაცდა, გააგლო ხელიდგან კეტი და დაეცა.

— ურა! დაიღრიალეს კოლონისტებმა.

მაგრამ იმათ კიდევ ვერ მოასწრეს მასთან მირაზენა, ბარტეკი ისე სწრაფად წამოხტა ფეხზედ. ამან გერმანელები მეტად შეაშინა. დაჭრილი ლომი, შესაძლებელი იყო, უფრო საშიშარი გამხდარიყო. ამასთანავე პოლონელების სახლებიც აღარ იყო შორს და გამოჩნდნენ ვილაც ყმაწვილი კაცებიც, რომელნიც მორბოდნენ თავიანთ მეზობლის მოსახმარებლად. კოლონისტები დაბრუნდნენ სახლში.

რა მოხდა? იკითხეს ყმაწვილებმა.

— გერმანელებს ცოტად გვერდები დაეუზილე, მიუგო ბარტეკმა და გრძნობა დაეკარგა.

VIII.

ამ საქმეს მოჰყვა ძალიან ცუდი შედეგი. გერმანულს გაზეთებში დაიბეჭდა წერილები იმის შესახებ, თუ როგორ სდევნიან და ავიწროებენ მშვიდობიანს გერმანელებს ბარბაროსი და გაუ-

ნათლებელი პოლონელები, აძრულნი მართებლობის წინააღმდეგის აგიტაციით და სარწმუნოებრივის ფანატიზმით. გერმანულს გაზეთებს ბიოგეს მეტი აღარავინ აგონდებოდათ. ეს წყნარი და მშვიდი მასწავლებელი, გამავრცელებელი განათლებისა სახელმწიფოს უშორესს კუთხეში, ეს მისიონერი, დამწერველი კულტურისა ბარბაროსთ შორის, პირველი სხვერპლი გახდაო წინააღმდეგის აგიტაციისა. მაგრამ, საბედნიეროდ, იმას მხარს უმაგრებს გერმანელი ერიო, რომელიც არ მოითმენს, რომ და სხ. და სხ...

ბარტეჟმა არ იცოდა, რასაკვირველია, თუ როგორი ქარიშხალი უნდა დატრიალებულიყო მის თავზედ. პირ-იქით, კიდევაც დარწმუნებული იყო, რომ ამ საქმეს სასამართლოში მოიგებდა. მართლაც, განა ბიოგემ არ სცემა მისს შვილს, განა იმან არ დაარტყა ბარტეჟს პირველად? კოლონისტები არ იყვნენ, რომ დაესხნენ თავზედ მას?! განა ბარტეჟს არ უნდა გამოეღო ხელი! ამასთანავე იგი დაქრეს თავში ქვით,—ის, რომლის სახელიც ბრწყინავდა დღიურს ბრძანებებში, რომელმაც გაიმარჯვა გრაველოტის ომში, რომელსაც ელაპარაკა შტეინშეცი და რომელსაც გული დაფარული ჰქონდა ორდენებითა და ჯვრებით! მას, მართლაც, უკვირდა, რომ ყოველივე ეს გერმანელებს დაავიწყდათ და შეურაცხპყვეს იგი; აგრეთვე არ ესმოდა, თუ რატომ ლაპარაკ-

კობდა ბიოგე ყოველს მარჯვე შემთხვევაში, რომ რაკი გერმანელებმა ფრანგები დაამარცხეს, ახლა შეუძლიათ, რაც უნდათ, ის უქნან პოლონელს გლეხებსო. თავის შესახებ კი სრულიად დარწმუნებული იყო, რომ სასამართლო და მმართველობა მის მხარეს დაიქერდნენ: შეუძლებელია, მმართველობამ არ იცოდეს, თუ რა ღვაწლი დამიდვია წარსულს ომშიო; სხვას რომ დავვიწყებოდე, შტეინმეცი ხომ მაინც დამიფარავს და მაინცო. განა ამ ომის გამოისობით არ დავღარიბდი და არ ჩავვარდი ვალშიო. არა, შეუძლებელია, გერმანელებმა ჩემი ღვაწლი დაივიწყონო!..

ამასობაში ჟანდარმებიც მოვიდნენ ბარტეკის წასაყვანად. ფიქრობდნენ, ბარტეკი წინაღმდეგობას გაგვიწევსო და ამიტომ მოვიდა ხუთი ჟანდარმი, დატენილის თოფებით. მაგრამ ისინი სცდებოდნენ: ბარტეკს სულაც არ უფიქრნია წინაღმდეგობა. უბრძანეს, მარხილში ჩაჯექიო და ისიც ჩაჯდა.

მაგდა მხოლოდ უყვიროდა და სულ იმეორებდა:

— რისთვის და ჟღერდი ფრანგებს? აი ახლა ნახავ რა ხეირსაც დაგაყრიან...

— ჩუმად, ბრიყვო! ეუბნებოდა ბარტეკი და მხიარულად უცინოდა გამვლელ-გამომვლელებს.

— მე ვუჩვენებ მათ, თუ ვის გაუბედეს გაუპატიურება, ყვიროდა მარხილიდგან, როდესაც მიდიოდა სასამართლოში და ამაყად იხედებოდა

თავის ორდენებზედ, როგორც ნამდვილი ძლევა-მოსილი.

სასამართლომ მართლაც შეიწყნარა ბარტეკი. ზოგიერთი შემამსუბუქებელი გარემოებანი იცნეს და ბარტეკი დასაჯეს მხოლოდ სამის თვით ციხეში ჩასმით. ამას გარდა უნდა გადაეხადა 150 მარკი ბიოგეს და სხვა კოლონისტების სასარგებლოდ, რომელთაც შეურაცხება მიადგათ ბარტეკის მოქმედებით. „დამნაშავემ, სწერდა მაინც „Posener Zeitung“ (პოზნანის გაზეთი) თავისს ანგარიშში ამ საქმის შესახებ, არა თუ სინანული არ გამოაცხადა გარდაწყვეტილების გამოცხადების დროს, არამედ ისეთი ლანძღვა-გინება დაიწყო და ისე უზრდელად იხსენიებდა იგი თავის ვითომ სამსახურს სახელმწიფოს წინაშე, რომ საკვირველია, ღმერთმანი, რატომ პროკურორმა მაშინვე არ აღძრა ახალი საქმე იმისგან სასამართლოსა და გერმანელთა შეურაცხყოფის შესახებ“.

ბარტეკს ახლა ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდა მოეგონებია საპრობილეში თავის გამარჯვება გრაველოტთან, სედანთან და პარისტან.

დიდი უსამართლობა იქნება ჩვენის მხრით, არ მოვიხსენიოთ, რომ ბიოგეს მოქმედებაც გაჰკიცხეს საჯაროდ. ერთს წვიმიანს დილას, ერთი პოლონელების დეპუტატთაგანი რეიხსტაგში ძალიან მჭევრმეტყველოურად ამტკიცებდა, რომ პოლონელებს ბევრად უფრო ცუდად ექცევიან ახლა-და-ახლა გერ-

მანიის იმპერიაშიო, რომ პოზნანის პოლონელები იმ თავდადებულობისათვის, რომელიც წარსულს ომში გამოიჩინეს, დაჯილდოების ღირსნი არიანო, რომ რიგიანობა მოითხოვს, უმეტესად ზრუნავდეს სახელმწიფო პოზნანის მცხოვრებლების საზოგადო კაცობრიულთ უფლებათა დაცვისათვის, რომ, ბოლოს, ბიოგე, ცხადია, ბოროტად ხმარობს სკოლის მასწავლებლის თანამდებობას და მდგომარეობას, რაკი ყმაწვილებს ასე უწყალოდ ეპყრობა და ეძახის მათ ლორებს და ექადის ყველას, რომ ომის შემდეგ გერმანელები მკვიდრს მცხოვრებლებს ფეხ-ქვეშ გაქვლავენო.

როდესაც დეპუტატი ლაპარაკობდა ამას, წვიმდა და, რადგან წვიმიანს დღეს კაცს ყოველთვის უფრო ადვილად მოსდის ძილი, ამიტომ ახლა ამთქნარებდნენ კონსერვატორები, ამთქნარებდნენ აგრეთვე ნაციონალ-ლიბერალები და სოციალისტები, ამთქნარებდნენ ისინიც, რომელთაც კრების შუა-გული დაეჭირათ და რომელნიც ჯერ კიდევ არ იყვნენ გატაცებულნი ეგრედ-წოდებულის კულტურულის ბრძოლით. პალატა გადავიდა მორიგს კითხვაზედ.

ბარტეჟი ამ დროს იჯდა საპყრობილეში, ანუ უკეთ ვსთქვათ, იწვა საპყრობილის ლაზარეთში, მიტომ რომ მას აეშალა ის ქრილობა, რომელიც მიფლო ომში. როდესაც სიცხე და ბოდვა გადაუვლი-

და, ბარტეჟი მიეცემოდა ღრმა ფიქრს. იგი ფიქრობდა, როგორც მამალი ინდოური, რომელიც კიდევ მოკვდა ნამეტანის ფიქრისაგან. მაგრამ ბარტეჟი არ მომკვდარა; ეს კია, რომ იმან ვერაფერი მოიფიქრა რა. მხოლოდ ხანდახან გაუვლიდა ხოლმე თავში, რომ, შეიძლება, ფრანგებს ის სულ ტყუილ-უბრალოდ ჟღერდა ისე უმოწყალოდ.

მაგდას კი დაადგა გაჭირვების დღე: უნდა გადაეხადა ჯარიმა და ფული კი არსად მოეძეებოდა. მართალია, მღვდელს უნდოდა ხელი გაემართა მისთვის, მაგრამ ამოჩნდა, რომ იმას ორმოცი მარკიც არ მოეძეებოდა. იარმო ძალიან ღარიბი სოფელი იყო; ამასთანავე მოხუცმა მღვდელმა თითონაც არასოდეს არ იცოდა, თუ სად მიდიოდა მისი ფული. ბატონი იარჟინსკი თავის სასახლეში არ იყო; ამბობდნენ, ცარსტვოში წავიდაო ვილაც მდიდარის ქალის შესართავად. ვადის გადადება ხომ საფიქრებელიც არ იყო. რა უნდა ექნა? ნუ თუ უნდა გაეყიდა ცხენები, ძროხები? ისეც კარგი დღე არ აღგა. რთველი მომავალი იყო; ფული, მეტი რომ აღარ შეიძლება, ისე ეჭირვებოდა და სახლში კი ერთი ყურ-გახვრეტილი ფარაც არ ეგულებოდა. დედაკაცი იმტვრევდა ხელებს სასოწარკვეთილებისაგან. რამოდენჯერმე შეიტანა სასამართლოში თხოვნა, რომელშიაც ჩამოსთვლიდა თავისის ქმრის, ბარტეჟის, სამსახურს,

მაგრამ იმას პასუხიც არ აღირსეს. დანიშნული ვადა მოახლოვდა და მასთან მთელის მის ქონების გაყიდვის დღეც. მხურვალე გულით ლოცულობდა და იგონებდა იმ დროს, როცა ისინი ცხოვრობდნენ თავისუფლად და ბარტეკი ზამთრობით ქარხანაში მუშაობდა. მაგდა წავიდა ნათლი-მამასთან ფულის სასესხებლად, მაგრამ არც იმას ჰქონდა. ომმა ყველას აგრძნობინა თავი. იუსტთან ვერ გაბედა წასვლა, რადგან მისი უკვე ემართა და ჯერ სარგებელიც არ გადაეხადა, მაგრამ იუსტი თვითონ მოადგა კარზედ მაგდას სულ მოულოდნელად.

ერთხელ მაგდა იჯდა თავის ქოხის წინ კარზედ და არაფერს არ აკეთებდა; მიტომ რომ მწუხარებით მოუძღურებული იყო; შესცქეროდა ჰაერში მოთამაშე ბუზებს და ფიქრობდა: რა ბედნიერები არიან ეს ბუზებიო! თამაშობენ თავისთვის და არავითარი ვალი არ აწუხებთო. ხანდახან მძიმედ ამოიოხრებდა ხოლმე, ან და მის გამხმარის ტუჩებიდგან მოწყდებოდა სიტყვები: ოხ, ღმერთო, ღმერთო! ამ დროს ბჭისკართან გამოჩნდა იუსტის გრძელი ცხვირი და ფარფორის ჩიბუხი. დედა-კაცს გააცივა. იუსტმა წარმოსთქვა:

— Morgen (დილა მშვიდობისა)!

— როგორ მშვიდობით ბრძანდებით, ბატონო იუსტ?

— ჩემი ფული?

— ოხ, ძვირფასო ბატონო იუსტ; ცოტა ხანს კიდევ მომითმინეთ. მე უბედურმა არ ვიცი რა ვუყო ჩემს თავს. ქმარი წამართვეს; მის მაგიერად შეუნდა გადავიხადო ჯარიმა. უმჯობესია სიკვდილი, ვიდრე აგრე ცოდვილი, როგორც ჩვენ ვცოდვილობთ. მალროვით კიდევ ცოტა ხანს, ძვირფასო ბატონო იუსტ! მაგდა მოჰყვა ტირილს და მოწიწებით აკოცა იუსტის ჩასუქებულს წითელს ხელს.

— აი მობრძანდება ჩემი ბატონი, ვისესხებ მისგან და მოგცემ, განაგრძო მაგდამ.

— კი, მაგრამ ჯარიმას საიღვან-ლა იხდი?

— არ ვიცი, ძროხა ეგება გავეცილა.

— მაშ, თუ აგრეა, მე გასესხებ კიდევ ფულს..

— გაკურთხოსთ ღმერთმა, ჩემო კეთილო! თქვენ თუმცა ლუტერანი კი ხართ, მაგრამ კარგი კაცობრძანდებით, მართალს მოგახსენებ, სხვა გერმანელებიც რომ თქვენა გგავდნენ, მაშინ კი გაგვეძლე-ბოდა როგორმე.

— მაგრამ უსარგებლოდ კი ვერ გასესხებ.

— ვიცი, ვიცი.

— მომცემთ ერთს თამასუქს, სადაც გამოყვანილი იქნება მთელი ვალი.

— კურთხეული იყოს თქვენი სახელი.

— როცა ქალაქში ვიქნები, ნოტარიუსთან შევიდეთ.

ისინი იყვნენ ქალაქში და თამასუქს მოაწერეს.

ხელი ნოტარიუსთან. მაგრამ თავ-და-პირველად მაგ-
და შევიდა მღვდელთან დასაკითხავად და მოსალა-
პარაკებლად. მღვდელმა უთხრა, რომ ძალიან
მოკლე ვადა არისო დანიშნული და სარგებელიც
ღიღიაო. ძალიან სწუხდა, რომ ბატონი იარჟინსკი
სახლში არ იყო, თორემ ის უთუოდ ამოუჩენდა
რამე შემწეობას. მაგრამ მაგდას მეტი საშველი აღარ
ჰქონდა: ან უნდა გაეყიდა თავის საცხოვრებელი
და ან უნდა მიეღო იუსტის პირობა. ისესხა მისგან
300 მარკი, ე. ი. ჯარიმაზედ ორჯელ მეტი; სახლ-
შიაც ხომ უნდა ჰქონოდა რამოდენიმე. რომ უფ-
რო სარწმუნო ყოფილიყო, იუსტმა ბარტექს მოაწე-
რინა ხელი თამასუქზე. მაგდა განსაკუთრებით ამ საქ-
მისათვის წავიდა საპყრობილეში. ბარტექ ძლევაძო-
სილი ავად იყო და ჯავრით მოკლული. იმან კი-
დევ შეიტანა სასამართლოში საჩივარი, მაგრამ არ
მიიღეს.

— ახლა ხომ მთლად დავიღუპებით! უთხრა
იმან ცოლს.

— მთლად, მწუხარებით გაუმეორა მაგდამ.

ბარტექი რაზედღაც ძალიან დაფიქრდა.

— ძალიან უსამართლობა კი მიქნეს, სთქვა
ბარტექმა.

— ბიოგე კიდევ სდევნის ჩვენს ბიქს, უთხრა
მაგდამ. მე წავედი იმასთან სათხოვნელად, მაგრამ
გალანძღვის მეტი ვერა გამოვიტანე-რა. ოოხ, ახლა

გერმანელები იარმოში ნეტარებაში არიან; აღარავისი აღარ ეშინიათ.

— ჰგავს, რომ ისინი ძალას გრძნობენ, მოწყენილად წარმოსთქვა ბარტექმა.

— მე ხომ სულელი ვარ, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ძლიერი მარტო ერთი ღმერთია.

— ის არის ჩვენი ნუგეში, დაუმატა ბარტექმა. რავდენსამე წუთს ორნივე გაჩუმებულნი იყვნენ, შემდეგ ბარტექმა იკითხა:

— ჰო, მართლა რაო იუსტმა?

— თუ კი ღმერთი კარგს მოსავეალს მოგცემს, შეიძლება გადავიხადოთ როგორმე; მასთან ბატონიც მოგვეხმარება რასმე, თუმც მასაც კი მართებს ფული გერმანელებისა და ომამდისაც ამბობდნენ, რომ ყოველისფერი უნდა გაჰყიდოს იარმოშიო, თუ მდიდარი ქალი არ შეირთოვო!...

— მალე დაბრუნდება?

— ღმერთმა იცის! სასახლეში ამბობენ, მალე მობრძანდებაო ცოლიანად. იმას კი შეუწუხებენ სულს გერმანელები! ყველგან ისინი მოძვრებიან, როგორც მატლები. საითაც კი მიბრუნდები, საითაც კი გაიხედავ, ქალაქში და სოფელში, ყველგან ისინი არიან. ხსნა კი არსაიდან არის! აღბადღეთისგან არიან გამოგზანინი ეგენი ჩვენის ცოდვებისათვის!

— შეიძლება. შენ მოიფიქრე რამე: შენ ძალიან ჭკვიანი დედაკაცი მყავხარ.

— მე რა უნდა მომეფიქრნა? იუსტისაგან ვალის აღება განა ჩემი კეთილი სურვილი იყო თუ? მართალი რომ ვსთქვათ, სახლ-კარიც და ადგილიც ყოველისფერი მისია ახლა იუსტი სხვა გერმანელებს სჯობია, მაგრამ ისიც მხოლოდ თავისას უფრთხილდება და არა სხვისას. მეც ისე სულელი არა ვარ, რომ არ ვიცოდე, თუ რატომ მაძლევს ფულს. მაგრამ რა ვქნა, რა ვქნა!—განაგრძო მან ხელების მტვრევით,—მითხარი ერთი შენ, თუ მაგ თავში ჭკუა მოგეძებნება, აბა მითხარ, რას იზამ, როცა შენ არც სახლ-კარი გექნება და არც ლუკმა პური?

გრაველოტის გმირმა თავში ორივე ხელი იტაცა და ამოიკვნესა:

— ოხ, ღმერთო ჩემო!

მაგდა კეთილი გულის ქალი იყო. იმას გული დაუღობო ბარტეჟის ამოკვნესამ და უთხრა:

— წყნარა, შე გლახაკო, წყნარა! ნუ იკიდებ თავზედ ხელს: ჯერ კიდევ არ მოგრჩენია. თუ ერთი ღმერთმა კარგი მოსავალი მოგვცა! პური ისეთი კარგია, რომ მიწას მინდა. ვაკოცო სიხარულით. აგრეთვე ქერიც. მიწა გერმანელი არ არის, არ მოგვეპყრობა უსამართლოდ. მე თუმცა ცუდად ვხანავ-

დი, როდესაც შენ ომში იყავი, მაგრამ ჰური ისეთი ამოვიდა, რომ შენი მოწონებული!

მაგდას გაელიმა ცრემლების ქვეშ.

— მიწა გერმანელი არ არის! გაიმეორა კიდევ.

— მაგდა! წარმოსთქვა ბარტექმა და დააცქერდა მას თავის გამოქაჩულის თვალებით.—მაგდა!

— ჰო, რა გინდა?

— შენ მე... ისე...

ბარტექი გრძნობდა ღრმა მადლობას მისდამი, მაგრამ არ იცოდა, თუ როგორ გამოეთქვა.

IX

მაგდა მართლაც ფრიად კარგი ქალი იყო. ის მკაცრად ეპყრობოდა ბარტექს, მაგრამ ძალიან ერთგულიც იყო მისი. როცა ძალიან გაჯაფრდებოდა, როგორც მაშინ სამიკიტნოში, მაგდა ეძახოდა მას ბრიყვს, მაგრამ, რასაკვირველია, არ უნდოდა, რომ ამ აზრის თანახმა ვინმე ჰყოლოდა. „ჩემი ბარტექი იგონებს სულელობას, თორემ ცბიერია!“ იტყოდა ხშირად მაგდა. მართლა კი, ის ისეთივე ცბიერი და ეშმაკი იყო, როგორც მისი თეთრი ფაშატი ცხენი. მაგდა თუ არ მოეხმარებოდა, ისე იმას არაფრის გაკეთება არ შეეძლო, არც ოჯახში და არც სხვაგან. ახლა შევლა მაგდას ხელში იყო და როცა კი დაიწყო აქეთ-იქით სირბილი, ფაცა-ფუცი, თხოვნა, ვედრება, თავისი ჰქნა კიდევ. ერთის კვირის შემ-

დევ მაგდამ კიდევ ნახა თავისი ქმარი საპყრობილეში. ახლა საპყრობილეში მოიბრინა დაღალულმა, გახარებულმა და გაბრწყინვებულმა მაგდამ.

როგორ მშვიდობით ხარ ბარტეჟ, ჩემო. გერმანელო! დაიყვირა მან მხიარულად. იცი? ბატონი მობრძანდა, ცოლი შეურთავს ცარსტვოში. მისი ცოლი ისეთია, როგორც შენი ქვიშნა. რაფდენი რა არ მოიტანა. ოჰ, ჰო, ჰო!...

იარმოს მემამულემ მართლაც შეირთო ცოლი, მოიყვანა თავის მამულში და ბევრი რამეებიც მოიტანა.

— ჰო, მაგრამ ჩვენ რაო მერე?... ჰკითხა ბარტეჟმა.

— გაჩუმდი, შე სულელო! — მიუგო მაგდამ. — უჰ, რა დავიღალე! ოხ, ღმერთო! მივედი ახალის ქალბატონის სანახავად: გამობრძანდა ის ჩემთან, როგორც დედოფალი, როგორც ყვავილი, მშვენიერი, როგორც ცისკარი... რა სიცხვა! ლამის სული ამომივიდეს.

მაგდამ მოიწმინდა პირზე ოფლი წინსათარით. მერმე ხელ-ახლავ განაგრძო ლაპარაკი აკანკალებულის ხმით:

— კაბა ეცვა ლურჯი, როგორც შიშპრა ყვავილი. მე დავვარდი იმის ფეხებ ქვეშ, იმანაც ხელი მომცა... ვაკოცე; ისეთი პაწაწა ხელები აქვს, როგორც ბავშვს და სუნიც ისეთი უდის... მშვენიერი,

ნამდვილი წმინდანია, ხატს ჰგავს და ჩვენი გლეხის მწუხარებაც ესმის... ღმერთო, მიეც მშვიდობა და კარგად ყოფნა! მე შევევედრე მას, ვსთხოვე შემწეობა... ხმაც ისეთი აქვს, რომ როცა ლაპარაკს დაიწყებს, გული და სული დაგიტკებება... მე მოვახსენე მას, თუ რა საწყლები და ღარიბები ვართ იარმოელები. იმან მიბრძანა ამაზე: ეჰ, მარტო იარმოელებს კი არ ადგიათ ეგ დღეო... მე დავიწყე ტირილი და ისიც ატირდა. ამ დროს მობრძანდა ბატონი და, თავის ცოლი რომ ატირებული დაინახა, კოცნა დაუწყო... სწორედ რომ გვრიტები არიან!... ბატონები ისე კი არ ჰკოცნიან ცოლებს, როგორც თქვენ გლახები. ქალბატონმა უთხრა მას: მოეხმარე ამ ქალს, თუ რამ შეიძლებაო. და მან მიუგო: ყოველისფრით, რითაც კი ისურვებო! ღმერთი მისცემს სიკეთეს მას და მის შვილებს. ბატონმა მიბრძანა: ძალიან დაგიშავებიათ, რომ გერმანელის ხელში ჩავარდნილხართ, მაგრამ მე თქვენ გიშველით და გაგასტუმრებინებთ იუსტსო!

ბარტეჟმა თავი მოიქეჟა.

— თვითონ ბატონიც ხომ იმავე გერმანელების ხელშია ჩავარდნილი!

— მერე რაო? ქალბატონი ხომ მდიდარია. იმათ ახლა იმდენი ფული აქვსთ, რომ თუნდ ყველა გერმანელებს იყიდნიან იარმოში. მაღე არჩევნე ბიც იქნებაო, ბრძანა, და გლახები ნუ მისცემენ

ხმას გერმანელებს, და იუსტსა და მასწავლებელს მე გავსცემ პასუხსო. ამაზე, ნეტავი გენახა, რა ნაირად გარდაეხვია ქალბატონი. ბატონს შენც გაახსენდი და ბრძანა, თუ მართლა ავად არის, ექიმს მოველაპარაკები, მოწმობას მისცემს და გაათავისუფლებენო. თუ მისი სულ გაათავისუფლება არ შეიძლება, ზამთარში მოათავებს და ახლა კი ოჯახში საჭიროაო. გესმის! ბატონი გუშინ ქალაქში იყო და დღეს ექიმი მივა სასახლეში სტუმრად, მიტომ რომ ბატონს დაუპატიჟენია. ის გერმანელი არ არის და უთუოდ დასწერს მოწმობას. ზამთარში დაჯდები საპყრობილეში, სითბოც იქნება და საქმელსაც ბევრს მოგცემენ, ახლა კი წამოდი სახლში და მომეხმარე. იუსტსაც გავისტუმრებთ ბატონმა შეიძლება არ მოგვთხოვოს სარგებელი და თუ შემოდგომაზე მთლათ ვეღარ შევძელით გადახდა, მაშინ მე ვსთხოვ ქალბატონს, რომ გვადროვოს. ღვთისმშობელმა დედამ აკურთხოს იგი. გესმის?

— კარგი ქალბატონი ყოფილა! გაბედულად წარმოსთქვა ბარტეკმა.

— თაყვანი ეცი მას, თაყვანი! თუ არა და მაშინ მე ვიცი, რაც მოგიხდება, შე ბრიყვო. ნეტავი ღმერთი კარგს მოსაყვალს მოგვცემდეს და! ხომ ხედავ, საიდგან მოდის შეველა? გერმანელებისაგან! ერთი გროში მაინც მოუციათ შენის სულელულის

შენდღობისთვის, ჰა? სილები გითავაზეს, აი რა მოგცეს! თაყვანი ეცი ქალბატონს, გესმის?..

— რატომაც არ ვსცემ თაყვანს! ენერგიულად უპასუხა ბარტეჟმა.

ბედმა ერთხელ კიდევ გაუღიმა ბარტეჟ-გმირს. რავდენისამე დღის შემდეგ ბარტეჟს გამოუცხადეს, რომ, ავადმყოფობის გამო, ის გათავისუფლებული იყო საპრობილიდან ზამთრამდის. მაგრამ ლანდრატმა (მაზრის უფროსმა) უბრძანა მას, კანცელარიაში გამოცხადებულიყო. ბარტეჟი, რასაკვირველია, გამოეცხადა მას, მაგრამ შიშისაგან კი აღარ იყო კაცი. ამ კაცს, რომელსაც ომში მტრებისათვის მოუტაცნია ზარბაზნები და დროშები, ახლა ყოველის მუნდირის დანახვისა ისე ეშინია, როგორც სიკვდილისა... ის ახლა ფიქრობს, რომ მას სდევნიან, ემტერებიან, რომ შეუძლიათ ის უქნან, რაც უნდათ, რომ მას სდევნის რაღაც იმისთანა ძალა, რომელსაც შეუძლია მისი ფერფლათ გადაქცევა. იდგა ახლა ის ლანდრატის წინ, როგორც ერთს დროს შტეინმეცის წინ, ხელებ-ჩაშვებული, გულმკერდ-გამოწეული და ამოსუნთქვისაც კი ეშინოდა. ოთახში იყვნენ სხვა აფიცრებიც. ომი და დისციპლინა წარმოუდგა ბარტეჟს თვალ-წინ ცოცხლათ. ზიზღითა და ამპარტოვნობით უყურებდნენ მას სათვალეებიანი აფიცრები, როგორც უყურებენ ხალხმე ჩვეულებრივ უბრალო გლეხს, სამსახურიდგან

გამოსულს სალდათს. ბარტეკი გაქვავებული იდგა, ლანდრატი ელაპარაკებოდა მას ბრძანებლობის კილოთი. ლანდრატი იმას არც რჩევას აძლევდა, არც თხოვდა, არამედ, უბრძანებდა, ექადოდა. ბერლინში მომკვდარიყო დეპუტატი, დანიშნული იყო არჩევანი და უნდა ამოერჩიათ ახალი ვინმე მის მაგიერად.

— აბა, გაბედე ერთი შენ polnisches Vieh, (პოლონელი პირუტყვი), იარჟინსკის სასარგებლოდ ხმის მიცემა, სცადე მხოლოდ!

აფიცრებმა მრისხანელ შექმუნხეს წარბები. ერთი იმათგანი სიგარის წვევით იმეორებდა: „აბა სცადე!“ ბარტეკი სდგას ცოცხალ-მკვდარი. როცა, ბოლოს, დაიძახეს სანატრელი სიტყვები: „გარედ გაეთრიე!“ ბარტეკი მაშინვე შემოტრიალდა ციბრუტით მარცხნივ, გამოვიდა გარეთ და ამოისუნთქა თავისუფლად. იმას უბრძანეს, რომ ხმა მიეცა შულბერგისათვის, რომელიც დიდი-კრივდიდგან იყო. ბარტეკი სულაც არ ფიქრობდა ამ ბრძანებაზედ, მაგრამ თავისუფლად მიტომ ამოითქვა სული, რომ იარმოში მიდიოდა, მიტომ რომ რთველის დროს ოჯახს გამოადგებოდა რაშიმე და კიდევ მიტომ, რომ ბატონი შეპირებოდა იუსტის ვალის გასტუმრებას. აი გამოვიდა ქალაქიდგან. იმის წინ გაიშალა პურის ყანები; მძიმე თავლები ხვდებოდნენ ერთმანეთს და გაჰქონდათ შრიალი, რომელიც ძრიელ სასიამოვნოა გლეხი-კაცის ყურისა-

თვის. ბარტეჭი ჯერ კიდევ სუსტად იყო, მაგრამ თბილი მზე აძლევდა მას ღონეს. ოხ, რა კარგია ქვეყანაზედ ცხოვრება იფიქრობდა უნებურად გლეხი. იარმოც იქვე იყო...

X

დადგა არჩევნების დღეც. ქალბატონი იარჩინსკისა მხოლოდ ამაზედ ფიქრობს, ამაზედ ლაპარაკობს და ოცნებობს.

— თქვენ, ქალბატონო, დიდი პოლიტიკოსი ბრძანდებით, ეუბნება მას მეზობელი მამულის პატრონი და ჰკოცნის პაწაწა ხელებზედ. დიდი პოლიტიკოსი კი წითლდება ამ სიტყვებზედ და უპასუხებს მომხიბვლელის ღიმილით:

— ჰო, ჩვენ ყოველს ღონისძიებას ვხმარობთ, რომ ჩვენი გავიტანოთ.

— თქვენს მეუღლეს ამოირჩევენ! დარწმუნებით წამოსთქვამს შლიახტიჩი (პოლონელი აზნაურია).

ამაზედ დიდი პოლიტიკოსი უპასუხებს:

— გამოტეხლი უნდა მოგახსენოთ, რომ ძალიან მსურს, თუმცა ჩემის ქმარის ინტერესების გულისათვის კი არა (ამ დროს ჩვენი დიდი პოლიტიკოსი წამოწითლდება), არამედ ქვეყნის სიკეთისათვის.

— სწორედ რომ ბისმარკია ღმერთმანი რომ

ნამდვილი ბისპარკია! ყვირის შლიახტიჩი და თან ჰკოცნის ქალბატონს იარჟინსკისას პაწაწა ხელებზედ და იწყებს მსჯელობას ამომრჩეველს საზოგადოებაზედ. შლიახტიჩი კისრულობს იმოქმედოს პატარა კრივლაში და ნედოლში (დიდი კრივლა დაკარგულია მათთვის, მიტომ რომ ის შულბერგს ეკუთნის), ხოლო ქალბატონი იარჟინსკისა იმოქმედებს უფრო იარმოში. ეს საქმე თავბრუს ახვევდა ქალბატონს იარჟინსკისას. ყოველს დღეს გამოჩნდებოდა ხოლმე იგი დიდს ქუჩაზედ, ქოხებში. ერთს ხელში ეკავა აწეული კაბა და მეორეში სამზიური. კაბის ქვეშ მოსჩანს პაწაწინა ფეხები, რომელნიც ემსახურებიან, რასაკვირველია, პოლიტიკურს მიზანს. ის ხან აქ, ხან იქ შედის ქოხში, გზაზედ აძლევს სალამს მუშა ხალხს შემდეგის სიტყვებით: „ღმერთი იყოს თქვენი შემწე!“ ავათმყოფებს ნახულობს, იმადლოებებს მცხოვრებლებს, სადაც კი შეხვდება, მოწყალებით. ეს პოლიტიკაც რომ არ ყოფილიყო, ის მაინც აგრე იზამდა, მიტომ რომ კეთილის გულის ქალი იყო. მაგრამ ახლა, რაც უნდა იყოს, კიდევ უფრო გულმოდგინედ მოქმედებს. რას არ იზამდა იგი ამ საგნის მისაღწევლად? ქმარს ვერ უმხელდა, თორემ ძალიან გულით სურდა გლტხების კრებაზედ დასწრება. სიტყვაც კი მოამზადა წარმოსათქმელად. მერე რა სიტყვა იყო, რა სიტყვა! ამ სიტყვის წარმოთქმა არ შეიძლებოდა, თომრემ ვინ იცის რანაირად

იმოქმედებდა! როდესაც იარმოში მოვიდა ამბავი, პოლიციამ გლეხებს შეყრა და საქმეზედ წინ-და-წინ მოლაპარაკება აუკრძალაო, დიდი პოლიტიკოსი ნამეტანის სიანჩხლისაგან ატირდა და მთელი დღე კრემლისაგან თვალეზ-დაწითლებული დადიოდა; ამოდ ეხვეწებოდა ქმარი, თავს ნუ იწუხებო. მეორე დღეს დიდმა პოლიტიკოსმა მიჰყო ხელი აგიტაციას უმეტესის ენერგიით. ქალბატონის იარყინსკის გულმა არ იცოდა არც მშვიდობა და არც მოსვენება. ერთის დღის განმავლობაში ჩამოიარა ოცი მოსახლე კაცი და ისეთ-ნაირათ ლანძღავდა გერმანელებს, რომ ქმარი იძულებული იყო ხან და ხან შეეჩერებია. მაგრამ იმას კი ნუ იფიქრებთ, ვითომც საშიშროება რამე მოელოდა ვისმე ამით. გლეხები იღებდნენ მას ძალიან გულგაშლილად: ხელებზედ ჰკოცნიდნენ და უცინოდნენ. ის ხომ ისეთი მშვენიერი იყო, რომ სადაც კი შევიდოდა, ყველგან შევებას შეიტანდა. არაჰკამ დაიყუფა იმის დანახვაზედ, მაგრამ მაგდამ ნამეტანის ერთგულობით ერთი კარგი ჯოხი უთავაზა და გააკმენდინა ხმა.

— ოხ, ჩემო საყვარელო ძვირფასო ქალბატონო! წამოიძახებს მაგდა და ჰკოცნის ქალბატონს მუხლზედ. ბარტეჟი, მაგდას დარიგებისამებრ, დაეცემა პირქვე თაყვანის საცემად; ფრანიოკი ჰკოცნის მას

ხელზედ და შემდეგ დგება განზე და მთლად სმენად გარდაიქცევა; თითი პირში აქვს ჩადებული.

— იმედი მაქვს, ამბობს მისალმებისათანავე ყმაწვილი ქალბატონი, რომ თქვენ, ძვირფასო ბარტეჟ, მისცემთ ხმას ჩემის ქმრის და არა შულბერგის სასარგებლოდ.

— ოჰ, ჩემო გერიტო, ჩემო მშვენიერო!—წამოიძახებს უცებ მაგდა,—ვინ მისცემს ხმას შულბერგის სასარგებლოდ,—ამბობს გაცხარებით მაგდა და თან უკოცნის ხელს ქალბატონს.—ბარტეჟს თავის თავი აღარ ახსოვს გაბოროტებისაგან, როდესაც დაიწყებს ლაპარაკს შულბერგზედ.

— ჩემმა ქმარმა აი ახლა მითხრა, რომ იუსტის ვალს უთუოდ გავასტუმრებინებო.

ღმერთმა კი აკურთხოა ჩვენი ბატონი!—აქ მიუბრუნდა მაგდა ბარტეჟს და უთხრა:—რას დგახარ ხესავით! სულ არ ემარჯვება ამ უბედურს ლაპარაკი.

— აბა, ჩემს ქმარს მისცემთ ხმას? ეკითხება ქალბატონი ბარტეჟს. მეზობლები ვართ და უნდა შევეწიოთ ერთმანერთს

— მე ვუჩვენებ მაგას, რომ არ დამიჯეროს!—ამბობდა მაგდა.—ნუ დგახარ ასე ხესავით გაშეშებული, გაინძერი! მუსაიფის გაწევა სულ არ შეუძლია ამ საწყალს...

ბარტეჟი ჰკოცნის ხელზედ ქალბატონს, მაგრამ თქმით კი არას ამბობს. ის დაღვრემი-

ლია, ბნელია მისი პირი-სახე. მაზედ ვერა ამოიკითხება რა, მიტომ რომ ბარტეკს თავიდგან ვერ მოუშორებია ლანდრატი.

დადგა არჩევნების უკანასკნელი დღე. ბატონი იარჟინსკი დარწმუნებულია, რომ საქმეს მოიგებს. სასახლეში მოიყარეს თავი მასთან ახლო-მახლო მემამულეებმა. ისინი თავ-და-პირველად ქალაქში იყვნენ ყველანი, მისცეს ხმა და ახლა იარმოში უცდიან არჩევნების შედეგს. არჩევნების შემდეგ ნადიმი გაიმართება, სალამოს ბატონი იარჟინსკი და მისი მეუღლე წაბრძანდებიან პოზნანში და იქიდგან ბერლინში. რამდენმამე სოფელმა გუშინ მისცა ხმა მის სასარგებლოდ. დღეს ყველა შეიტყობს არჩევნების შედეგს. აქ შეკრებილს სტუმრებს ყველას სრული იმედი აქვს, რომ იარჟინსკი იქნება არჩეული. ქალბატონი იარჟინსკი რასღაც კი სწუხს, მაგრამ იმედს მაინც არ ჰკარგავს და ისე აღერსიანად ექცევა სტუმრებს, რომ ყველანი ერთხმად აღიარებენ ბატონს იარჟინსკის ბედნიერს კაცად, რომ ამისთანა ძვირფასი საუნჯე უპოვნია კარსტვოში. მაგრამ ეგ საუნჯე რაღაც ვერ ისვენებს ერთს ადგილზე: ხან ერთს სტუმართან მიირბენს, ხან მეორესთან და ყველას არწმუნებს, რომ უთუოდ იოსებს ამოირჩევენ. ქალბატონი იარჟინსკი ბუნებით პატივის მოყვარე ქალი არ იყო და თავმომწონეობით კი არ უნდოდა მას დეპუტატის ცოლობა; არა, ორთავე

კოლ-ქმარმა ერთმანერთი დაარწუნეს, რომ იგინი ასრულებდნენ დიდს მისიას. ამიტომ მისი გული ძგერს გამალეხული, როგორც ქორწილის დროს უძგნრდა და სიხარულით ბრწყინავს იმისი კოპწია სახე. ის ხშირ-ხშირად მიუახლოვდება თავის ქმარს, წაკრავს ხელს კლავზე და წასჩურჩულებს ყურში, როგორც ცელქი ბავშვი: „ბატონო დეპუტატო“! ისიც გაუცინებს ხოლმე და ორნივე გამოუთქმელს ბედნიერებას გრძნობენ. სტუმრების მორიდება რომ არ ჰქონოდათ, ისინი გადაეხვევოდნენ კიდევ ერთ-მანერთს ნამეტანის სიხარულისაგან. სტუმრები წამ-და-უწუმ ფანჯარაში იყურებიან მოუთმენლად, მი-ტომ რომ ეხლანდელს არჩევანს სულ სხვა მნიშვნე-ლობა აქვს. მიცვალებული დეპუტატი იყო პოლო-ნელი და გერმანელებმა ამ მაზრაში პირველად წა-მოაყენეს თავის კანდიდატი ცხადია, რომ წარსუ-ლმა ომმა გერმანელები გაამხნევა და აი ამისთვისაა, რომ სასახლეში ყველანი ასე ძვირად აფასებენ და მონდომებულნიც არიან: რომ პოლონელებმა გაიმაჯვონ. ზოგიერთი სტუმართაგანი საჭიროდ სთვლის სთქვას სადილობამდის პატრიოტული სი-ტყვა, რომელმაც განსხვავებული შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს ქალბატონზედ. ხანდისხან გაუ-ვლის მას შიში: ბოროტ-მოქმედება რომ მოხდეს კეჭების დათვლის დროს?! კომიტეტში ხომ მარტო გერმანელები სხედან. ზოგიერთი სტუმართაგანი

უხსნის მას, თუ როგორ ითვლიან ხოლმე ხმებს. ეს ასჯერაც გაუგონია, მაგრამ მაინც უნდა კიდევ ეუბნებოდნენ. მირთლაც, საქმე ხომ მხოლოდ ის არის მცხოვრებლებს პარლამენტში წარმომადგენელათ ვინ ეყოლებათ: მტერი, თუ მოყვარე. კიდევ რამოდენიმე წამი და ეს კითხვა გარდაწყდება; დიალ, რამოდენიმე წამი, მიტომ რომ ამ დროს გზაზედ დგება მტვერის კორიანტელი. „მღვდელი მოდის, მღვდელი მოდის“! შეიქნა ერთი ხმაურობა. ქალბატონი ფითრდება.

ყველა დარწმუნებულია, რომ საქმე მოგებუ-
ლია; მაგრამ ყველას აჩქარებით დაუწყებს მაინც
გული ძგერას. მაგრამ ეს მღვდელი როდი იყო,
თურმე პრიკაშიკი დაბრუნებულიყო ქალაქიდგან
ცხენით. შეიძლება ამანაც იცოდეს რამე ცხენს
მიაბამს ლობეზედ და წამოვა სასახლისაკენ აჩქარე-
ბულის ნაბაჯით. სტუმრები და ქალბატონი გამო-
ცვინდებიან ბალკონზედ...

— რა ამბავი იცი? ბატონი ამოირჩიეს? გამო-
იარე ერთი...

— ნამდვილად იცი? გამოაცხადეს?

პრიკაშიკი აგდებს ქუდს ზევით და ყვირის:

— ჩვენი ბატონი ამოირჩიეს! ურა!

ქალბატონი იქვე ჩაჯდება და გულზედ ხელს
იდებს. „ურა, ურა“, ყვირიან მეზობლები.

— მღვდელი სადღაა? იკითხა ვიღამაც.

— ისიც ესლავე მოვა, — მიუგო პრიკაშიკმა. — ხმების დათვლა ჯერ მთლათ არ გათავებულა.

— აბა სადილი მოგვართვით! აძლევს განკარგულებას ბატონი დეპუტატი.

— ურა!

ყველანი შებრუნდებიან ხელახლავ სასტუმროში. ახლა უფრო მშვიდობიანად ულოცვენ იარჯინსკის. მხოლოდ ქალბატონი ველარ იმაგრებს თავს და ყველასთან ეხვევა ქმარს. მაგრამ მას არავინ არ სძრახავს ამისათვის; ის კი არა, თვითონ ისინიც ძალიან აღელვებულნი არიან.

— ოჰ, მადლობა ღმერთს, ჩვენც ვრეულვართ ცოცხლებში, ამბობს ნესჩასტნოის მემამულე.

მოისმის ეკიპაჟის ხმა და ზალაში შემოდის მღვდელი და მასთან მოხუცი მათე იარმოელი.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! მიესალმებიან ყველანი. შესამჩნევი უმრავლესობა იყო ჩვენ-კენ?

მღვდელი ცოტა ხანს შეჩერდა; შემდეგ ხმადაბლა წარმოსთქვა შემდეგი ორი სიტყვა:

— შულბერგი ამოირჩიეს! ..

არავის სჯერა. მღვდელს ერთა ერთმანერთზედ აძლევენ კითხვებს:

— როგორ მოხდა ეს? პრიკაშიკმა კი სულ სხვა-ნაირად გვითხრა. თქვენ ამბობთ, შულბერგი ამოირჩიესო? შესაძლებელია?

ამ დროს ბატონი იარჟინკი გაიყვანს ოთახიდან თავისს საწყალს ცოლს, რომელიც ცხვირსახოცს ღექს, რომ ტირილი არ მოერიოს და გრძობა არ დაჰკარგოს.

— რა უბედურობაა, რა უბედურობა! იძახიან ყველანი გაკვირვებით. სოფლიდგან მოისმის მხიარულობის ხმა: გერმანელი კოლონისტები დღესასწაულობენ იარმოში გამარჯვებას.

ბატონიც და ქალბატონიც შემობრუნდებიან სასტუმროში. სტუმრებმა კარგად გაიგონეს, რომ ბატონმა იარჟინსკიმ უთხრა თავის ცოლს: „il faut faire bonne mine“ (სახე გაიმხიარულე) ქალბატონი აღარ სტირის, მხოლოდ ლოყებზედ კი აღმური ასდის.

— გვიამბეთ ახლა, როგორ მოხდა ეს! წარმოსთქვა ბატონმა დაწყნარებით.

— რატომაც არ მოხდებოდა, ბატონო? — უპასუხებს მოხუცი მათე, — როდესაც აქაური გლეხებიც კი შულობერგის მხარეზე იყვნენ...

— როგორ აქაურებიც?

— დიად, მე თვითონ დავინახე და სხვებმაც დაინახეს, რომ ბარტეკ სლოვიკმაც შულობერგს მისცა ხმა...

— ბარტეკ სლოვიკმა? იკითხა ქალბატონმა.

— დიად, დიად. ახლა გლეხი პირქვე გდია და სტირის, დედა-კაცი კი ლანძღავს, როგორც შეუძ-

ლია. მაგრამ მე თითონ შევხედე, როგორ მისცა ხმა...

— ასეთი გლეხი დასაყენებელი არ არის სოფელში, სთქვა სოფლის ნესჩასტნოს მემამულემ.

— დიად, ბატონო, — განაგრძო მათემ, — სხვე-ბიც, ვინც კი ომში იყო, ყველანი შუღბერგის მხარეს გადავიდნენ. ამბობენ, ასე ჰქონდათ ნაბრძანებო.

— ბოროტ-მოქმედებაა, ცხადი ბოროტ-მოქმედება! კასაციით უნდა ვიჩივლოთი ძალადობაა! მოიყიდეს! გაისმის ზალაში.

სადილი გათავდა უსიამოვნოდ.

სალამოს ცოლ-ქმარნი წავიდნენ, მაგრამ ბერლინში კი არა, დრეზდენში.

ყველასაგან გაკიცხული ბარტეჟი იჯდა ამ დროს თავის ქოხში მარტო და თითქმის ისე გავიდა მთელი ის დღე, რომ მაგდასაც არ უღირსებია მისთვის სიტყვა.

იმ წელიწადს მშვენიერი, უხვი მოსავალი იყო და ბატონი იუსტი, რომელმაც დაისაკუთრა ახლა ბარტეჟის ქოხი და მიწა-წყალი, სრულიად დარწმუნდა, რომ ფული ტყუილად არ გაუსესხებია.

ერთს შემოდგომის მოღრუბლულს და ჰინკულიანს დღეს იარმოდგან მიდიოდა ქალაქში სამი ადა-

მიანი: გლეხი, დედაკაცი და ერთი პატარა ბიჭი. გლეხი წელში მოხრილი იყო ძალზედ და უფრო ბებერს გლახას ჰგავდა, ვიდრე ჯანმრთელს კაცს. ქალაქში მიტომ მიდიოდნენ, რომ იარმოში სამუშაო ველარა ეშოვნათ-რა. თქორავს დედაკაცი ცხარე ცრემლით სტირის, რომ ქოხი და მიწა გაუყიდეს. გლეხი ხმა-გაკმენდილი მიდის და ფიქრობს მხოლოდ საპყრობილეზე, სადაც უნდა გაატაროს ზამთარი. გზაზედ ძე ხორციელი არ ხვდებათ. წვიმა თანდათან უმატებს. ღამდება კიდევ ამ დროს ბატონი იარჟინსკი თავის მეუღლითურთ ისევ დრეზდენში ბძანდებოდა.

წერსაკითხვის გამავრცელებელის სა- ზოგადოების წიგნის ძალაშიაძი იეი- დება შემდეგი წიგნები:

საზოგადოების გამომცემანი

I. ისტორიული წიგნები.

ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა	„	40
გიორგი ბრწყინვალე ნ. ურბნელისა	„	20

II. ბუნების მეტეფელება.

ამბავი ცხოველთა სამეფოსი, რუბაჰინისა	„	50 ✓
ბუნების ცოდნა, პოლ ბერისა	„	25 ✓
ყვავილთა შორის, თარგ. ს. შუბათელისა	„	45 ✓
ცა და დედამიწა ივანოვისა. თარგ. დ. გიორგობიანისა	„	20 ✓

III. სახელმძღვანელოები.

ბუნების კარი ყდით	„	80
გეომეტრია, მ. ყიფიანისა	„	25
დედა ენა, ი. გოგებაშვილისა	„	40
კოკორი, ი. გოგებაშვილისა	„	10
კონა, ყდით, მისივე	„	40
კრებული არითმეტიკულის ამოცანებისა, რ. ჯაჯანაშვილისა	„	25
წყარო, II წიგნი, არ. ქუთათელაძისა	„	50

IV. კაზმული სიტყვიერება.

ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი	„	15
ასპინძის ომი, მესამე გამოცემა, ი. გოგებაშვილისა	„	7
ალი, ნ. ლომოურისა, მეორე გამოცემა	»	10
ერკლე მეფე და ინგილო ქალი, ი. გოგებაშვილისა	„	5
ვეფხისტყაოსანი ყრმათათვის, გ. იოსელიანისა	„	22
თხზულებანი რ. ერისთავისა, II ტ.	„	20
„ ჰუშკინისა	„	50
„ ვაჟა-ფშაველასი	1	„
თავდადებულნი ქართველნი, ი. გოგებაშვილისა	„	7
იავნანამ რა ჰქმნა, მესამე გამოცემა მისივე	„	5
კრილოვის არაკები, აკაკისა	„	30
ლექსები, ნ. ბარათაშვილისა	„	40
მარიამი, ანუ ყვავილების კალათი, შმრდტისა, თარგ. ს. შუბათელისა	„	10
მტრედი, მისივე	„	10
მამის ერთგული, მისივე	„	15
მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა	„	30
ოქროს მოყვარულები, ცშოკესი, თარგ. ე. წერეთლისა	„	15
რუხი მგელი, გ. წერეთლისა	„	15
საყმაწვილო მოთხრობა ი ეკ. გაბაშვილისა	„	30
სვიის გვირგვინი, შმიდტისა, თარგმანი ს. შუბათელისა	„	15

III

ქაჯანა, ნიკო ლომოურისა, მესამე გამოცემა	„	5.
ყოველის მხრიდან, ნ. ლომოურისა	„	10
წითელი ფარანი, თარგ. გ. ანდრონიკაშვილისა		15
ხომლი, ი. გოგებაშვილისა	„	30.

V. მ უ ს ი კ ა.

სალამური, ზ. ჩხიკვაძისა	„	25
სიმღერები, კორიძისა, გ ნაწერი, თითო 20—30 კაპ.. სულ	1	95
ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელისა	„	50

VI. მ ე უ რ ნ ე რ ბ ა.

შინაური საქონელი, ივ. როსტომაშვილისა	„	£
--	---	---

ნაყიდი და უამოწიროული წიგნები.

I. ისტორიული წიგნები.

ისტორიული ნარკვევი, ალ. კყონიასი	2	50
მთიულეთი, ალ. ფრონელისა	„	40.
პონტის მეფე მიტრიდატ დიდი, დ. ბაქრაძისა	„	10
საქართველოს ისტორია, ვახუშტისა	2	„
საქართველო მეთორმეტე საუკუნეში, დ. კარიკაშვილის მიერ	„	40
საუნჯე მეთათე საუკუნისა, მ ჯანაშვილისა	„	20.
საერო დღესასწაული	„	25

IV.

II. მ ე ტ ნ ი ე რ ე ბ ა.

ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილისა .	1	30
მოსავლის მკველნი, ი. გოგებაშვილისა.	"	20

III. სახელმძღვანელოები.

ახალი ქართული გრამატიკა, დ. ყიფიანისა	1	26
გრამატიკა, არ. ქუთათელაძისა	"	40
Русское Слово ч. I, ი. გოგებაშვილისა	"	40
" " ч. II, მისივე	"	50
საღვთო ისტორია, მღ. ლ. ტურივეისა .	"	20

IV. კაზმული სიტყვიერება.

ახუნდი, პოემა ვაჟა-ფშაველასი	"	5
აკიდო, ი. გოგებაშვილისა	"	15
გედები, ანდერსენისა, თარგ. თ. სახოკიასი	"	10
გლ ხა, პოემა კონდოლელისა	"	5
დიდ-მოურავიანი, ტფილელისა	"	30
დიდი ოთხშაბათი, ი. ციციშვილისა	"	10
ვეფხისტყაოსანი, სურათებით და მშვენიერის ყდით, გ. ქართველიშვილის გამოცემა	10	"
ვეფხისტყაოსანი, გამოც. გ. ჩარკვიანისა.	"	25
თავადის ქალი, ურბანოვსკის ქალისა თარგ. ნ. ავალიშვილისა	"	60
იუდა, ნანდონისა; თარგ. ილ. ფერაძისა.	"	3
კეთილი ძაღლი	"	10

V

კუნწულა, ი. გოგებაშვილისა	40
ლექსები, ქ. გელოვანისა	15
ლექსები, ვ. ორბელიანისა	60
ნელო და პატრამი, თარგ. ელ. წერეთლისა	10
ნატერის თვალი	40
პატარა ლორდის თავგადასავალი, თარგ. ელ. წერეთლისა	30
სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა	5
საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა, ი. გოგებაშვილისა	10
ქილილა და დამანა	3
ქართული გამოცანები	5
ქალი და მისი დანიშნულობა, მღ. ა. ტუნაშვილისა	20
ჩვენს ქალებს	20
ხუმარა სპილოები	10

V. სურათები და ნახატები.

საქართველოს დიდება, სურათი	1	20
კანვაზედ საკერი ანბანი, გრ. ტატიშვილისა	40
ჩართული ანბანი, გრ. ტატიშვილისა	1

VI. ს ა მ რ თ ა ლ ი .

Законы царя Вахтанга	3	50
--------------------------------	---	----

